ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge


გვ.4

იტალიელი სტუმრები მიხვდნენ, რომ საშიში იყო და რაღაც საეჭვოდ ბევრი მიწა იდო გზებზე, სად იყო მუნიციპალიტეტი?!

„შესაძლოა, ყოფილიყო საკმარისი დრო, რათა მომხდარიყო მოსახლეობის გაფრთხილება და ევაკუაცია."


გვ.5

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 8 აგვისტო, 2023 №154 (9190) ფასი: 80 თეთრი

# „საშვილიშვილო ტრაგედია მოხდა. ვინც დანაშაული ჩაიდინა, ის ადამიანები და ინსტიტუტები უნდა დაისაჯონ!"


გვ.2



გია ხუხაშვილი: „მინდა ყველა „გამპრავებელს" ვუთხრა, ტროლებს, ბოტებსა და იმ ორშაურიან ექსპერტებს, რომ გამოდიან და ყაყანებენ, ნუ იღებენ ამ ცოდვას. არაფერი არ იციან და ლაპარაკობენ"


გვ.2

არახამია: „ქართველები იყვნენ პირველები, მათ გაუძლეს და შეინარჩუნეს სახელმწიფოებრიობა"

„გაერთიანება ამ ორი ტრაგედიის, შეიძლება"... – სალომე ზურაბიშვილი სტიქიასა და ომზე


გვ.3

ირაკლი ღარიბაშვილი: „ამ საშინელმა ტრაგედიამ, რომელიც დატრიალდა შოვში, მთელი საქართველო შეძრა. მინდა კიდევ ერთხელ ჩვენი სამძიმარი გამოვუცხადო ოჯახებს. ძალიან მძიმე განსაცდელია მთელი ქვეყნისთვის"


გვ.3



გვ.3

შოვში პოლიციელი გარდაიცვალა


გვ.4

სტიქიამ ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს უფრო მეტად დაუპირისპირა

„არსებობდა მოქალაქეების დროული ევაკუაციის გეგმის შემუშავების საფუძველი"

ნიკოლოზ რაჭველი: „მახრჩობს სიბრაზის შეგრძნება"


გვ.8

მიმდინარე კვირაში საქართველოში ჰაერის ტემპერატურამ შესაძლოა, 41 გრადუსს მიაღწიოს


გვ.4

ხვიჩა კვარაცხელია: თავს ვერ მივცემ უფლებას, ვთქვა, რომ სტეფის დონეზე ვარ


გვ.7

1993230720223

4 შოვში დაკარგულთა შორისაა კოტეჯების სასადილოს მზარეული და ანსამბლ „ბუბას" წევრი გენო სულთანიშვილი

5 როგორ შეიქმნა კურორტი შოვი

5 დამნაშავე, რომელიც 11 წელი მიმალვაში იმყოფებოდა, ფეხბურთის სიყვარულმა გასცა

6 უკრაინელთა კონტრშეტევა გრძელდება

# „საშვილიშვილო ტრაგედია მოხდა. ვინც დანაშაული ჩაიდინა, ის ადამიანები და ინსტიტუტები უნდა დაისაჯონ!“

## გია ხუხაშვილი: „მინდა ყველა „გამპრავებელს“ ვუთხრა, ტროლებს, ბოტებსა და იმ ორშაურიან ექსპერტებს, რომ გამოდიან და ყაყანებენ, ნუ იღებენ ამ ცოდვას. არაფერი არ იციან და ლაპარაკობენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.

*– ბატონო გია, დღეს ისეთი რთული დღეები გვაქს, რომ კითხვის დასმაც მიძნელდება. კითხვა კი ბევრი დაგროვდა და პასუხები არ გვაქვს. რას იტყვით ამ ყველაფერთან დაკავშირებით? იმდენი ურთიერთბრალდებებია, ისეთი ქაოსია, რომ რთულია დასკვნების გამოტანა. მიმდინარეობს თუ არა დანაშაულის გადაფარვის მცდელობა და რამდენად სწორად მოქმედებს ხელისუფლება?*

– ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებელი მხარე არის ხელისუფლება. ამიტომ აბსოლუტურად ლოგიკურია, რომ კითხვები დაისვას ხელისუფლების მიმართ. ამ ქაოსში, რა თქმა უნდა, შესაძლოა, ბევრი უსამართლო კითხვაც იყოს, შეიძლება იყოს სპეკულაციებიც. ეს ამის თანმდევი პროცესია და ეს ყველა ქვეყანაში ასე ხდება, მარტო საქართველოში არ ხდება. თუმცა, ხელისუფლება ვერ სარგებლობს უდანაშაულობის პრეზუმ?ციით. ის ვალდებულია, თუნდაც უსამართლო და ძალიან სულელურ კითხვებზეც კი, გასცეს კომპეტენტური პასუხები! ჩვენ ჯერ ამ პასუხებს ვერ ვხედავთ. ჩვენ საპასუხოდ, ხელისუფლების მხრიდან ვხედავთ კონტრშეტევასა და მხოლოდ იმ რიტორიკას, რომ ენა ჩაიგდეთ, ახლა ამის დრო არ არის.

*– არა და კითხვა ბევრია.*

– დიახ. ბევრი კითხვა არსებობს, მათ შორის ლოგიკური და ობიექტური, მარტო სპეკულაცია არ ხდება. ხელისუფლება, გარდა იმისა, რომ ვალდებული იყო, ონლაინ რეჟიმში ემუშავა, ასეთ დროს ბრიფინგს ბრიფინგზე უნდა მართავდეს. როდესაც ინფორმაციის ვაკუუმი ჩნდება, იქ ჩნდება ძალიან ბევრი კითხვა. მათ შორის სპეკულაციებიც და შეთქმულების თეორიებიც. ხელისუფლება ვალდებული იყო, საათში ერთხელ ბრიფინგები ეტარებინა. ნაცვლად ამისა, ჩვენ რა ვნახეთ ხელისუფლების მხრიდან?! ყველა გაჩუმდით, ჩვენ ვმუშაობთ. აი, ეს იყო მათი პასუხი. სინამდვილეში კი კითხვები არსებობს. მე არ ვარ სპეციალისტი და ბუნებრივია, თავს უფლებას ვერ მივცემ, ძალიან ღრმად შევიდე ამ საკითხში, მაგრამ იმდენი ინტელექტუალური შესაძლებლობები კი მაქვს, რომ ამ დისკუსიას მოვუსმინო და სად არის სიმართლე, ის გავარკვიო.

*– რა არის მთავარი კითხვა თქვენთვის?*

– გეტყვით რა არის ჩემთვის მთავარი კითხვა. პირველი ღამე იყო კრიტიკული ღამე, როდესაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა ვილაცის გადარჩენა. ფაქტობრივად, ხელისუფლებამ შეწყვიტა სამძებრო სამუშაოები. გასაგებია, რომ შენ ტექნიკა არ გაქვს და ეს კიდევ ცალკე საკითხია, რატომ არ გაქვს!

*– თუ არ ჰქონდათ, დახმარება რატომ არ ითხოვეს?*

– დიახ! სტიქიის დაწყებიდან ერთ საათში ხომ სრულიად ცხადი იყო სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, რომ დაბნელებამდე სამაშველო ოპერაციას ვერ დაასრულებდნენ?! მზე რომ ჩავიდოდა და ოპერაციის შეწყვეტა მოუწევდათ, ეს ხომ იცოდნენ?! რატომ არ სთხოვეს ჩვენს მეზობელ ქვეყნებს შესაბამისი დახმარება, რომ უწყვეტ რეჟიმში გაგრძელებულიყო სამაშველო ოპერაცია?! შესაბამისი ტექნიკა თურქეთსაც აქვს და აზერბაიჯანსაც. ორ-სამ საათში მათ შეეძლოთ მობილიზება, თუნდაც თბური ხედვის დრონების. შესაძლებელი იქნებოდა ჯერ კიდევ ცოცხალი ადამიანების დაფიქსირება ზონაში და მათი გამოყვანის მცდელობა. ხომ შეიძლებოდა ამის გაკეთება, რატომ არ გააკეთეს?!



*– რატომ არ გააკეთეს, რა მოხდა?*

– არ ვიცი, ეს კითხვები მეც მაქვს. მე არა მაქვს არანაირი კომპეტენცია იმისა, რომ ამ კითხვებზე პასუხი გავცე. ეს არის ხელისუფლების ვალდებულება. იგივე კახი კალაძის ეპიზოდი რომ ავიღოთ, გასაგებია, რომ ის კითხვები, რაც მის მიმართ დაისვა, არის სპეკულაცია, შესაძლოა, ძალიან უსამართლო და ძალიან მძიმე მოსასმენია, მაგრამ როდესაც აფექტური სიტუაციაა, როდესაც მთელი საზოგადოება არის სტრესულ მდგომარეობაში და არის ეჭვებით სავსე, ამ დროს შენ ხარ საჯარო პირი, გაქვს ვალდებულება, თუნდაც უსამართლო და ცილისმწამებლურ კითხვებზეც კი პასუხი გასცე კომპეტენტური და დასაბუთებული.

კალაძე საჯარო პირია. უნდა იცოდეს ყველამ, რომ საჯარო პირი ვერ ისარგებლებს უდანაშაულობის პრეზუმფციით. ის ამით განსხვავდება ჩვეულებრივი მოქალაქისგან.

*– უკვე გამოქვეყნდა ვიდეო, როგორ ტოვებს კალაძის ოჯახი სასტუმროს.*

– ამის გაკეთება მანამდეც მარტივად შეეძლო. კი, ბატონო, ადამიანურად ჩემთვისაც ძნელი დასაჯერებელი იყო ის ბრალდება, საკუთარი შვილები ვერტმფრენით გამოიყვანაო, რომ აბრალებდნენ, რამდენი ვიდეოკამერაა, გაესაჯაროებინა თავიდანვე ეს კადრები და დასრულდებოდა ეს სპეკულაციები. მარტო სასტუმროდან კი არ ამოილოს, გზიდან აჩვენოს მისმა ესკორტმა როგორ ჩაიარა. ნებისმიერი ეჭვი და კითხვა უნდა გაქარწყლდეს, ეს ძალიან მძიმე ბრალდებაა. თავი რომ დავანებოთ საჯარო პირის ვალდებულებას, ადამიანურად ძნელი ასატანია, რომ ვილაცას მაინც ეჭვი ეპარება, რალაც ისე არ მოხდა. დააცხრე, შე კაი ადამიანო, ეს ყველაფერი, შენივე ინტერესი არ არის?! დღეს ხელისუფლება იცით რაზე ფიქრობს?!

*– რაზე?*

– იმაზე კი არ ფიქრობს, რომ პრობლემა გადაწყვიტოს. ნაცვლად იმისა, რომ ეჭვები და კითხვები გააქარწყლონ, ამუშავებენ ტროლებსა და ბოტებს, რათა საზოგადოება დააკომპლექსონ, ახლა ამის დრო არ არის და ყველამ ენა ჩაიგდეთ. როგორც კი ამ ამბავს გადააგორებენ, ისევ მოილერებენ ყელს და აქეთ შემოგიტევენ! სწორედ ეს აძლიერებს ამ უსამართლობის განცდას. დალუპულებს ველარავინ გააცოცხლებს. ეს მთელი საქართველოს ტრაგედიაა. საშვილიშვილო ტრაგედია მოხდა. ერთადერთი, რამაც შეიძლება ოდნავ მაინც დაგვიამოს ეს ტკივილი ცოტათი მაინც და გარდაცვლილების სულები დააწყნაროს, ეს არის სიმართლე! ვინც პირდაპირ, ან ირიბად დანაშაული ჩაიდინა, გულგრილობით ან სხვა სახით, ის ადამიანები და ის ინსტიტუტები დაისაჯონ. როდესაც უსამართლობის განცდა ემატება ამ სიტუაციას, რომ რალაც ისე არ არის და ხელისუფლება ამას მალავს, ეს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას.



მინდა ყველა „გამპრავებელს“ ვუთხრა, ტროლებს, ბოტებსა და იმ ორშაურიან ექსპერტებს, რომ გამოდიან და ყაყანებენ, ნუ იღებენ ამ ცოდვას. ამით ისინი მეორედ კლავენ იმ ხალხს, ხელისუფლების „გაპრავების“ მცდელობით, ისე, რომ ამის არანაირი კომპეტენცია არა აქვთ. არაფერი არ იციან, უბრალოდ ავალებენ და ლაპარაკობენ.

*– დასკვნა დაიდო. ამაზე რას იტყვით?*

– თუნდაც იგივე გარემოს დაცვა, რომელიც ამ გაუგებარ დასკვნას აქვეყნებს, რაც ჩვენ გუშინ ვნახეთ. ხომ გასაგებია, რისთვისაც დაიდო ეს დასკვნა? იმისთვის, რომ ხელისუფლებისთვის პირი მოეწმინდათ. სწორედ ამისთვის გაკეთდა და არა იმისთვის, რომ ობიექტური ჭეშმარიტება დამდგარიყო. არ აწუხებთ ეს ცოდვა, კაცო?! არ აწუხებთ, რომ მათ ოჯახებზე შეიძლება ეს ყველაფერი გადავიდეს?!

*– რას მალავს ხელისუფლება?*

– არ ვიცი, რადგან არ ვარ ამ დარგის სპეციალისტი. მე მინდა სიმართლის გაგება. რა თქმა უნდა, მე მაქვს კითხვები, მაგრამ ამ კითხვებზე მე უნდა მივიღო პროფესიული პასუხები. მე თვითონ არ უნდა ვმარჩიელობდე. ამდენი პატივი უნდა სცეს თავის მოქალაქეს ხელისუფალმა, რომ კომპეტენტური და არაპროპაგანდისტული პასუხებით მოვიდეს ჩვენთან.

*– ბატონო გია, სამწუხაროდ, მიაღწიეს იმას, რომ დარგის სპეციალისტები, ვისი აზრიც ასე მნიშვნელოვანია, ნაც-ქოცებად დაყვეს. ნდობაც აღარაა უკვე ხალხში.*

– ამას არ ვამბობ? სწორედ ამას აკეთებენ, რა თქმა უნდა. ფაქტობრივად, ხელისუფლება დღეს ცდილობს, რომ ახლა გადააგოროს. ფარისევლები არიან და მეტი არაფერი.

*– რომ ყოფილიყო მონიტორინგი, ამხელა მსხვერპლი არ იქნებოდაო. ამაზე ბევრი სპეციალისტი თანხმდება.*

– სხვაც ბევრი რამეა. მარტო ეს არ არის. ორ ფასად უნდა გავყოთ ეს დანაშაული, რა არ გაკეთდა კატასტროფამდე და რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო კატასტროფის შემდეგ და არ გაკეთდა?! ახლა მაშველების ზურგს რომ ეფარებიან, მაშველები თავის შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებენ და მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ არა აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, არც შესაბამისი აღჭურვილობა, არც შესაბამისი ხელმძღვანელობა. საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ, ხელმძღვანელობა ბახილებით დადის! ეს ხალხი, ვგულისხმობ მაშველებს, მზად იყო გმირობისთვის, მაგრამ არ ჰქონდათ საკმარისი ინსტრუმენტი იმისათვის, რომ ეს გაეკეთებინათ. ხელისუფლება კი მათ ზურგებს ეფარება! ჩვენ რომ დღეს ხელისუფლებას ვაკრიტიკებთ, თითქოს მაშველებთან გვაქვს პრეტენზია. აი, ამ უტიფარ მარაზმში გვაცხოვრებენ!

*– როცა არ ჰქონდათ საკმარისი ტექნიკა, რატომ არ ითხოვეს დახმარება მეზობელი ქვეყნებისგან? აქ სად არის ლოგიკა? თუ ესეც დანაშაულის დამალვის მიზნით გააკეთეს?*

– რა გითხრათ, არ ვიცი. ეს იმდენად მძიმე ბრალდებები იქნება, რომ არ მინდა ჯერ ამაზე ვილაპარაკო. ეჭვები ყველას გვიჩნდება და საკმაოდ საფუძვლიანიც. თავმოყვარე ხელისუფლება უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას, რომ ამ კითხვებს პასუხი გასცეს. მაგრამ არ უნდათ! გადაგორებაზე არიან. როგორმე გადააგორონ და დაგვავიწყონ. ორ-სამ დღეში მოიფიქრებენ რაღაც ახალ თემას და ეცდებიან, მთელი საზოგადოება იმაზე გადართონ. ასეთ სიტუაციაში რომ ტროლებსა და ბოტებს ამუშავებ და საზოგადოების დაკომპლექსებას ცდილობენ, როგორ შეიძლება ასეთ ხელისუფლებას ჯანსალი ეწოდოს?!

*– შერჩებათ ეს მძიმე დანაშაული?*

– ერთადერთი მსაჯული ხელისუფლებისთვის არის საზოგადოება. საზოგადოება თუ შეარჩენს, შერჩებათ. ასე ხდება ყველა საზოგადოებაში.

*– ჯერჯერობით, კითხვა ბევრია და პასუხები არ გვაქვს.*

– არც აპირებენ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას. თუ რამეზე პასუხს იძლევიან, მხოლოდ სიყალბეს ვისმენთ.

# არახამია: „ქართველები იყვნენ პირველები, მათ გაუძლეს და შეინარჩუნეს სახელმწიფოებრიობა“

უკრაინის მმართველი პარტია „ხალხის მსახურის“ ფრაქციის თავმჯდომარე, დავით არახამია აგვისტოს ომის 15 წლისთავს სოციალურ ქსელში ეხმაურება:

– დღეს რუსეთის საქართველოზე თავდასხმიდან 15 წელი შესრულდა. დიახ, დღეს უკვე ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოს არანაირი ბრალი არ მიუძღვის ამ ომში და ქართველი ერი გმირულად იცავდა თავს ბოროტების იმპერიისგან! დიახ, დღეს ეს ყველამ იცის, მაგრამ ამის აღიარებისთვის ცივილიზებულ სამყაროს რუსეთის 2022 წლის ფართომასშტაბიანი დაპყრობითი ომი დასჭირდა, რაც ძალიან სამწუხაროა. ქართველები იყვნენ პირველი მსხვერპლი, ხოლო მაშინდელი ლიდერი სააკაშვილი პირველი პოლიტიკოსი, ვინც ამის შესახებ აფრთხილებდა ყველას და ეს საბედისწერო პროგნოზი სრულად ახდა და დღეს ყველა აღიარებს, რომ ქართველები და სააკაშვილი მაშინ მართლები იყვნენ და რომ დასავლეთი კი ცდებოდა, როცა ყურად არ იღო ეს გაფრთხილებები.

ქართველები იყვნენ პირველები და მათ გაუძლეს და შეინარჩუნეს სახელმწიფოებრიობა!

დღეს, უკრაინელები არა მხოლოდ გავუძლებთ, არამედ დავამარცხებთ სამყაროს მთავარ მტერს – პუტინს! და ეს ხდება ქართველი მებრძოლების მონაწილეობით და ეს მოუტანს მშვიდობასა და ბედნიერებას არა მხოლოდ უკრაინას, არამედ საქართველოსაც და ჩვენთან ერთად მთელ ცივილიზებულ სამყაროს!

დიდება ქართველ და უკრაინელ გმირებს! ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ და ჩვენს ქვეყნებში ომი აღარასდროს იქნება!

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – ხოხო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ხაფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მურაზ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ამ საშინელმა ტრაგედიამ, რომელიც დატრიალდა შოვში, მთელი საქართველო შეძრა. მინდა კიდევ ერთხელ ჩვენი სამძიმარი გამოვუცხადო ოჯახებს. ძალიან მძიმე განსაცდელია მთელი ქვეყნისთვის“



– მინდა კიდევ ერთხელ ჩემი სამძიმარი გამოვხატო შოვში დაღუპულთა ოჯახების მიმართ, მათ ახლობლებს, ნათესავებს, ყველას, მთელს ქვეყანას, საზოგადოებას გამოვუცხადო სამძიმარი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილთა ხსოვნას.

– ნამდვილად საშინელი ტრაგედია მოხდა შოვში, რამაც ძალიან ბევრი ჩვენი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა. მინდა მინისტრებს გთხოვოთ, რომ წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ გარდაცვლილთა ნათელ ხსოვნას.

კიდევ ერთხელ მინდა ჩემი და მთავრობის სახელით გამოვხატო ღრმა მწუხარება. ამ საშინელმა ტრაგედიამ, რომელიც დატრიალდა შოვში, მთელი საქართველო შეძრა და ამიტომ, მინდა კიდევ ერთხელ ჩვენი სამძიმარი გამოვუცხადო ოჯახებს. ძალიან მძიმე განსაცდელია მთელი ქვეყნისთვის. მთავრობა ჩართული იყო პირველივე წუთებიდან, მოგეხსენებათ. ჩვენი გმირი მაშველები, 400-მდე მაშველი იყო ჩართული სამუშაოებში, 210 ჩვენი თანამოქალაქე იქნა გამოყვანილი სტიქიის ზონიდან უვნებელი. ასევე მინდა გითხრათ, რომ ჩვენი გმირი ჯარისკაცები ჩაერთნენ ამ სამუშაოებში, ეხმარებოდნენ ჩვენს საამაყო, გმირ მაშველებს.

მობილიზება იყო სრული გაკეთებული ჩვენი მხრიდან, ადგილზე იყვნენ ექიმები, ადგილზე არის მობილიზებული 100-ზე მეტი სპეციალური ტექნიკა, ბატონი ქარსელაძე თავად ხელმძღვანელობდა ამ სამუშაოებს და ყველა, მთელი მინისტრები, რა თქმა უნდა, იყვნენ მობილიზებულები ადგილზე. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ეს მძიმე განსაცდელია ჩვენთვის ყველასთვის და კიდევ ერთხელ სამძიმარს ვუცხადებ გარდაცვლილთა ოჯახებს, – განაცხადა პრემიერმა.

# ოთარ შამუგია: „სამწუხაროდ, შოვის ტრაგედიას თავიდან ვერ ავიცილებდით“



– პირველადი დასკვნის თანახმად, მოვლენები იმდენად მყისიერი და კომპლექსური იყო, რომ მისი თავიდან აცილება ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნებოდა, – ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ 3 აგვისტოს შოვში მომხდარ სტიქიასთან დაკავშირებით განაცხადა.

როგორც მან მთავრობის სხდომის შემდეგ ჟურნალისტებთან აღნიშნა, სპეციალისტების წინასწარი შეფასების მიხედვით, კომპლექსური მოვლენები, რომლებმაც ღვარცოფი გამოიწვია, 8-10 წუთის განმავლობაში განვითარდა.

მისივე თქმით, ინფორმაცია, რომ მდინარე ჭანჭახი სტიქიამდე ორი დღით ადრე დაგუბდა, მცდარია.

გარდა ამისა, ოთარ შამუგიამ პოლიტიკოსებს მოუწოდა, რომ სპეციალისტებს, რომლებიც აღნიშნულ საკითხს იკვლევენ, თავიანთი განცხადებებით შეურაცხყოფა არ მიაყენონ, რადგან ისინი პროფესიონალები არიან და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ.

– საქართველოში გლოვის დღეა და მინდა ყველა დაღუპულის ოჯახს მივუსამძიმრო. სამწუხაროდ, ამ ტრაგედიას თავიდან ვერ ავიცილებდით. ამის შესახებ ჩვენ სპეციალისტების პირველადი შეფასება საზოგადოებას მივაწოდეთ. მე მინდა გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებს 24-საათიანი მუშაობისთვის მადლობა გადავუხადო. მათ საკმაოდ მოკლე დროში შეძლეს, რომ პირველადი დასკვნა დაედოთ. სამწუხაროდ, დღეს სხვადასხვა პოლიტიკოსისგან მოვისმინეთ განცხადებები, თითქოს ამ ადამიანებმა დავალება შეასრულეს. ყველას ვთხოვ, მსგავსი განცხადებებისგან თავი შეიკავოს, რადგან ეს ადამიანები პროფესიონალები არიან. მათ ძალიან მოკლე დროში შეძლეს დასკვნა დაედოთ, ისინი თავიანთ საქმეს ასრულებენ. სააგენტო, რა თქმა უნდა, მუშაობასა და კვლევას გააგრძელებს. მნიშვნელოვანია, სტიქიის გამომწვევ მიზეზებთან ერთად, შემდგომ განსახორციელებელ მიზნებზე ვისაუბროთ და ზუსტად განვსაზღვროთ, თუ რა უნდა მოხდეს სამომავლოდ ამ ხეობაში.

მინდა საზოგადოებას ის მნიშვნელოვანი დეტალები მივაწოდო, რაც წინასწარი შეფასებით დადგინდა. სტიქია იმით დაიწყო, რომ კლდეზვავური მასა ჩამოიშალა. ის შემდგომში შეეჯახა მყინვარს, გარკვეული ნაწილი ჩამოინგრა, რასაც მოჰყვა მეწყრული პროცესები და ყველაფერი გადაიზარდა ღვარცოფში. სპეციალისტების დასკვნით, ეს ყოველივე სტიქიის 8-10 წუთის განმავლობაში განვითარდა.

საუბარი იმაზე, რომ მდინარის ორდღიანი დაგუბება იყო, ეს არასწორი ინფორმაციაა. მდინარე ჭანჭახზე არსებობს ჰიდროლოგიური სადგური, რომლისგან აღებული მონაცემების თანახმად, სტიქიამდე და სტიქიის დროს მდინარის წყლის დონის სხვაობა არ დაფიქსირებულა. ამის საფუძველზე, სპეციალისტები ამბობენ, რომ იქ რაიმე სახის ხანგრძლივი შეგუბება ვერ იარსებებდა.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ პირველადი დასკვნის თანახმად, ეს მოვლენები იმდენად მყისიერი და კომპლექსური იყო, რომ მისი თავიდან აცილება ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნებოდა. მე ვფიქრობ, რომ პირველ რიგში, ეს დასკვნა ყველა სპეციალისტმა უნდა შეაფასოს. პოლიტიკოსებს მოვუწოდებ, რომ თავიანთი განცხადებებით შეურაცხყოფა არ მიაყენონ იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ, – განაცხადა ოთარ შამუგიამ.

# „გაერთიანება ამ ორი ტრაგედიის, შეიძლება“... – სალომე ზურაბიშვილი სტიქიასა და ომზე



სალომე ზურაბიშვილი მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე მივიდა, სადაც 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ მებრძოლებს პატივი მიაგო. ის გამოეხმაურა რაჭის სტიქიას და აღნიშნა, რომ შესაძლოა ამ ორი ტრაგედიის გაერთიანება თანხვედრაში არ არის. მისივე თქმით, საქართველოს მტერი ხან ომით, ხან კი რბილი ძალით ებრძვის და საჭიროა გაერთიანება:

– ახლა მოვდივარ სვეტიცხოვლიდან, სადაც პანაშვიდი გადაიხადეს რაჭაში გარდაცვლილი ადამიანებისთვის. რომლებიც ჯერ შეიძლება, კიდევ ცოცხლები არიან და შეიძლება, დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს, მათთვის ილოცეს. ამავდროულად, ილოცეს 2008 წლის ომში საქართველოსთვის დაღუპულთათვის.

გაერთიანება ამ ორი ტრაგედიის, რომელიც ორივე აგვისტოში მოხდა, შეიძლება, ბოლომდე თანხვედრა არ არის. ჩვენ გვებრძვის მტერი, ხან ომით და ხან რბილი ძალით, რომელიც ამ ბოლო დროს ძალიან ჩანს და რომელსაც სჭირდება ჩვენი ერთიანობა, ასევე განრისხებული ბუნებაც გვებრძვის, რომლის წინაშეც გვჭირდება გაერთიანება.

ისეთი განცხადებები ისმის, თუ დაწერილი სოციალურ ქსელში, თუ წამოძახილი, რაც დღეს ჩემთვის მიუღებელია და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი მიუღებელია ქართველისთვის და საქართველოსთვის. ჩვენ თუ გვინდა დამოუკიდებლობა, რისთვისაც იბრძოდნენ ის ადამიანები, რომლებიც აქ განისვენებენ, ჩვენ თუ ეს დამოუკიდებლობა ნამდვილად გვინდა, თუ სახელმწიფო გვინდა, უნდა მოვიდეთ გონს, დავინახოთ, სად არის ჩვენი საერთო საფრთხე და ერთად ვებრძოლოთ საერთო მტერს და არა ერთმანეთს, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

# ზელენსკი: „რუსეთის შეიარაღებული აგრესიის დაწყებიდან 15 წლისთავზე გამოვხატავთ სოლიდარობას ქართველი ხალხის მიმართ“

აგვისტოს ომის 15 წლისთავს უკრაინის პრეზიდენტი, ვოლოდიმირ ზელენსკი ეხმაურება და მტკიცე მხარდაჭერას გამოთქვამს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ:

– საქართველოში რუსეთის შეიარაღებული აგრესიის დაწყებიდან 15 წლისთავზე გამოვხატავთ ჩვენს სოლიდარობას ქართველი ხალხისა და ჩვენს მტკიცე მხარდაჭერას ამ ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. უკრაინისა და საქართველოს მიწების სრული დეოკუპაცია, რუსი დამპყრობლების დასჯა და მათ მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება მშვიდობასა და სტაბილურობას მოუტანს ევროპასა და მსოფლიოს, – წერს ზელენსკი.

# კუბილიუსი: „ბოლოს საქართველო და უკრაინა გაიმარჯვებენ, ექნებათ მომავალი, რომელსაც იმსახურებენ, რუსეთი, წააგებს“

– 15 წლის წინ პუტინმა დაიწყო ომი საქართველოს წინააღმდეგ და მას შემდეგ ქვეყნის ტერიტორიის 20% კვლავ ოკუპირებულია. ამის შემდეგ რუსეთმა დაიწყო ომი უკრაინის წინააღმდეგ. ასე დაიწყო რუსეთმა მომავლის დაკარგვა იმპერიული წარსულის ომებში.

ქართველები და უკრაინელები აგრძელებენ ბრძოლას მათი მომავლისთვის, რომ გახდნენ ევროატლანტიკური საზოგადოების ნაწილი.

ბოლოს საქართველო და უკრაინაც გაიმარჯვებენ და ექნებათ ის მომავალი, რომელსაც იმსახურებენ. იმპერიული წარსულის რუსეთი წააგებს. ეს საჭიროა ევროპის კონტინენტზე მდგრადი მშვიდობისთვის, – წერს ევროპარლამენტარი ანდრიუს კუბილიუსი.

# ილია მეორე: „შოვის ტრაგედიამ ყველას შეგვახსენა, რომ არავინ იცის, წუთისოფლიდან გასვლის ჟამი ვის როდის დაუდგება“



– რაჭაში ახლახანს მომხდარი სტიქიური უბედურება დიდი განსაცდელია ქვეყნისთვის. მთელი საქართველო და ჩვენც, ფრიად ვწუხვართ და გულითადად ვუსამძიმრებთ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, – ნათქვამია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის სამძიმრის წერილში.

– შოვის ტრაგედიამ ერთხელ კიდევ ყველას შეგვახსენა, რომ არავინ იცის, წუთისოფლიდან გასვლის ჟამი ვის როდის დაუდგება, ამიტომაც ნებისმიერ დროს მზად უნდა ვიყოთ ამისთვის. ჩვენი მზადყოფნა კი, ჩვენი მტკიცე რწმენა, ურთიერთსიყვარული და ჩვენს კეთილ საქმეთა სიმრავლეა.

ქრისტიანისთვის გარდაცვალება მხოლოდ დროებითი განშორებაა ახლობელთან და ამიტომაც ჩვენი მწუხარება სასოწარმკვეთი არ უნდა იყოს. აღდგომილმა მაცხოვარმა განაქარვა სიკვდილი და მარადიული სიცოცხლის ზეიმს დაუდო სათავე.

ესაა ჩვენი რწმენის საფუძველი, ჩვენი ნუგეშისა და იმედის წყარო და ეს განწყობა, გლოვასთან ერთად, ყველას უნდა გვქონდეს.

მინდა, დღეს უფალს დიდი მარხვის სავედრებლის სიტყვებით მივმართო:

– რომელნი შთანთქა წყალმან, რომელნი მოსრნა წვიმამან და ღვართა და ნაფშვენმან სიმრავლემან შეაშთვნეს და დაფარა ქვეყანამან, ძვრამან და სვრამან და პირად-პირადმან სიკვდილმან, და მდინარეთა და წყაროთა შინა, სახლითა განგლილთა (სახლის ნანგრევებში მოყოლილთა) დაძვრისაგან დაფარულთა სარწმუნოებით შენდა მოსულთა მორწმუნეთა, ქრისტე ღმერთო, წყალობით განუსვენე.

ყოვლადწმინდაო სამებაო, ასევე გევედრები, გარდაცვლილთა ოჯახის წევრები და ახლობლები განამტკიცე, განაძლიერე და მშვიდობით შენით აკურთხე. დალოცე და სასოება შენი მოჰმადლე სრულიად საქართველოს, ამინ! – ნათქვამია სამძიმრის წერილში.

# შოვში პოლიციელი გარდაიცვალა




გარდაიცვალა პოლიციის მაიორი, რომელიც სტიქიის ზონაში საზოგადოებრივ წესრიგს იცავდა, – ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

ირკვევა, რომ 48 წლის კაცი შეუძლოდ მაშინ გახდა, როცა ის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა.

შსს-ს ცნობით, პოლიციელი საავადმყოფოში მიყვანამდე გზაში გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამბროლაურის რაიონული სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებლის, 1975 წელს დაბადებული მირიან ჭელიძის გარდაცვალების გამო.

პოლიციის მაიორი, ონის მუნიციპალიტეტში სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, იგი სტიქიური უბედურების ზონაში მიმდინარე სამაშველო ღონისძიებების ფარგლებში იცავდა საზოგადოებრივ წესრიგს, რა დროსაც შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში მიყვანამდე გზაში გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მირიან ჭელიძის გარდაცვალების გამო, თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებსა და თანამშრომლებს, – წერს შსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტიქიამ ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს უფრო მეტად დაუპირისპირა

## „არსებობდა მოქალაქეების დროული ევაკუაციის გეგმის შემუშავების საფუძველი“

მარიამ მჭედლიშვილი

შოვის მასშტაბურმა სტიქიამ ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს უფრო მეტად დაუპირისპირა. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად. ხელისუფლება კვლავინდებურად ამტკიცებს, რომ 3 აგვისტოს მოვლენები სრულიად მოულოდნელი იყო, მათი თავიდან აცილება კი – შეუძლებელი, ოპონენტები კი ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე გაჰყვირიან.

– სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს არაერთი გადაუმოწმებელი ინფორმაცია და ზოგიერთ შემთხვევაში ცილისწამება. ეს ეხება, თითქოსდა სტიქიამდე 2 დღით ადრე წყლის შეგუბების ფაქტებს, ასევე მდინარის კალაპოტის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე იმას, თითქოს მენეჯერებს წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია სტიქიის შესახებ და ა.შ. – აღნიშნავს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია.



### „არსებობდა კურორტ შოვიდან მოქალაქეების დროულად ევაკუაციის გეგმის შემუშავების საფუძველი“

„მწვანე ალტერნატივამ“, რომელსაც მანამდე პარლამენტის თავმჯდომარე სიცრუის გავრცელებაში ადანაშაულებს, გააკეთა განმარტება 4 აგვისტოს გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე.

ორგანიზაციის სიტყვებით, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებულ გეოლოგიურ ბიულეტენში (2021 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და 2022 წლის პროგნოზი) შოვისათვის საფრთხის შემცველად იდენტიფიცირებულია მდინარე ჭანჭახი და მისი სხვადასხვა შენაკადი.

– ყოველივე აღნიშნული უნდა ყოფილიყო ტერიტორიაზე საფრთხის ყველა შესაძლო წყაროზე მონიტორინგის გაძლიერების, საფრთხის შესახებ მოსახლეობის გაფრთხილებისათვის ქმედითი სისტემის დანერგვისა და შესაბამისი სტრუქტურების მიერ კურორტ შოვიდან მოქალაქეების დროული ევაკუაციის გეგმის შემუშავების საფუძველი, – ამბობს „მწვანე ალტერნატივა“.

შეგახსენებთ გარემოს დაცვის სააგენტოს დასკვნას 3 აგვისტოს სტიქიის მიზეზებზე.

– ექსტრემალური ხასიათის ღვარცოფული ნაკადის ფორმირება 2023 წლის 3 აგვისტოს მდინარე ბუბისწყლის ხეობაში სტიქიური, გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების თანხვედრამ გამოიწვია, – ასეთია სააგენტოს შეფასება.

### „რადიკალური ოპოზიცია სტიქიის შედეგებით სარგებლობის მიღებას ცდილობს“

მმართველი პარტიისა და ხელისუფლების წარმომადგენლები კვლავინდებურად ჩივიან, რომ სტიქიის თემაზე ბევრნაირი ტყუილი და დაუსაბუთებელი ბრალდება ვრცელდება. „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის, მამუკა მდინარაძის თქმით, ამ ყველაფერს კამპანიის სახე აქვს.



– ხელისუფლებას კამპანიური ხასიათის დეზინფორმაციასთან უწევს ბრძოლა. ხელისუფლებას ხან კომუნისტების დროს აგებული კოტეჯების მშენებლობის ნებართვის გაცემა დააბრალეს, ხან ვერტმფრენის თემით შეეცადნენ სიცრუის გავრცელებას. დეზინფორმაციებით რადიკალური ოპოზიცია სტიქიის შედეგებით სარგებლობის მიღებას ცდილობს. ხელისუფლებას უწევს იბრძოლოს იმ კამპანიური დეზინფორმაციის წინააღმდეგ, რომელიც სოციალურ ქსელებში თუ ნაცმოს ტელევიზიებში გვაქვს, – ამბობს მდინარაძე.

„ოცნებისა“ და ოპოზიციის კინკლაობა მედიის საინფორმაციო პოლიტიკაში ჩარევამდეც მიდის.

შოვის ტრაგედიაზე დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების ინიციატივა არაერთი პირისა თუ ჯგუფისგან წამოვიდა. ერთ-ერთი მათგანია ნაცმოძრაობის გენერალური მდივანი პეტრე ცისკარიშვილი. მისი აზრით, ეს საკითხი დამოუკიდებელმა საგამოძიებო ინსტიტუტმა უნდა შეისწავლოს, „რომელიც სიმართლეს დაადგენს და ყველა შეკითხვაზე ობიექტურ პასუხს გასცემს“.

მომხდარზე გამოძიების დაწყებისკენ გენპროკურატურას „ლელომ“ მოუწოდა.



– ექსპერტებად არ გამოდგებიან პოლიტიკოსები მმართველი გუნდიდან, რომლებიც წყლის მომატება-არმომატებაზე საუბრობენ და გამორიცხავენ შესაძლებლობას, რომ ადამიანები გადარჩენილიყვნენ. გამოძიებამ უნდა გაარკვიოს, შესაძლებელი იყო თუ არა ამ ყველაფრის თავიდან არიდება, – განაცხადა პარტიის წევრმა ლევან სამუშიამ.

# იტალიელი სტუმრები მიხვდნენ, რომ საშიში იყო და რაღაც საეჭვოდ ბევრი მიწა იდო გზებზე, სად იყო მუნიციპალიტეტი?!

მოქალაქე თეონა ჯიქია სოციალურ ქსელში შოვის ტრაგედიაზე წერს:



– ერთი ფეხით გამოვასწარით ამ ტრაგედიას, სულ შემთხვევით. ვიყავით გონაში, ჩემმა იტალიელმა მეგობრებმა ნახეს იქ მიმდინარე სამუშაოები კაშხლის და აღნიშნეს, იმედია, იციან, რას აკეთებენ, ასეთ ზონაში ამხელა მიწების მოჭრა საშიშიაო. იქვე ვნახეთ რამხელა ხე-ტყის „ბიზნესი“ გუგუნებდა და ღებში დავბინავდით. ღამით საშინელი სეტყვა, ქარი და წვიმა იყო, ჩაქრა შუქი, დაწყდა წყალი დილით დიასახლისმა თქვა, სათავე გადაინგრეოდა, როგორც ყოველთვის და ალბათ, ახლა აკეთებენო. თან დასძინა, ადრე, როცა კაცები ომში იყვნენ, სათავე ქალებმა და ბავშვებმა ააშენეს, ის ისევ დგას და ამ ჩვენმა მუნიციპალიტეტმა ისე ვერ გამართა, რომ ყველა ასეთ ამინდზე უშუქოდ არ დავრჩეთო.

ზუსტად მაგ დილით დავტოვეთ ღები და გზად მაპში ჩავწერე შოვი, უნდა გადაგვეხვია. გზაში შევამჩნიეთ, რომ ასფალტი სავსე იყო მიწით და ამავე იტალიელმა მეგობრებმა უცებ გადაიფიქრეს – ჯობს, არ შევიდეთ, არ არის სახარბიელო დიდხანს აქ ყოფნა, მიწა იშლებაო! არ შევედით, თორემ ველარც გამოვიდოდით!

ხალხოოო, იტალიელი სტუმრები, საერთოდ არაგეოლოგები, არაპროფესიონალები, უცხოები მიხვდნენ, რომ საშიში იყო და რაღაც საეჭვოდ ბევრი მიწა იდო გზებზე, სად იყო მუნიციპალიტეტი?! სად იყო საერთოდ ის ხალხი, ვინც იქ ამხელა გათხრებსა და სამუშაოებს აწარმოებენ?!



# შოვში დაკარგულთა შორისაა კოტეჯების სასადილოს მზარეული და ანსამბლ „ბუბას“ წევრი გენო სულთანიშვილი

შოვში დაკარგულთა შორისაა კოტეჯების სასადილოს მზარეული და ანსამბლ „ბუბას“ წევრი გენო სულთანიშვილი.

შოვში სტიქიის შემდეგ დაკარგულად მიჩნეულ ადამიანებს შორის ერთ-ერთია სოფელ გლოლის მკვიდრი, გენადი (გენო) სულთანიშვილი, კოტეჯების სასადილოს მზარეული და ანსამბლ „ბუბას“ წევრი.

ინფორმაციას გენო სულთანიშვილის სიძე, მამუკა ცერცვაძე ავრცელებს. ცერცვაძის თქმით, მისი სიმამრი უშუალოდ სტიქიის ეპიცენტრში იმყოფებოდა, კოტეჯების ტერიტორიაზე. ოჯახის წევრები ქუთაისში, პროზექტურაში იმყოფებიან ცხედრის ამოსაცნობად.

# მიმდინარე კვირაში საქართველოში ჰაერის ტემპერატურამ შესაძლოა, 41 გრადუსს მიაღწიოს

გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, მიმდინარე კვირის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის მომატება (თბური ტალღა).



მათივე ცნობით, ცალკეულ დღეებში, დასავლეთ საქართველოს დაბლობში ჰაერის ტემპერატურამ შესაძლებელია 37, 39C, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 39, 41C-ს მიაღწიოს. ქვეყნის მთიან რაიონებში დღის მაქსიმალური ტემპერატურა 33, 38C, მაღალმთაში 28, 33C-მდე მოიმატებს.

– მოსალოდნელი მაღალი ტემპერატურები სითბური სტრესის, ტყის ხანძრებისა და მყინვარების დნობასთან დაკავშირებული პროცესების გააქტიურების ხელშემწყობ პირობებს წარმოადგენს, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# რუსების შეტევები ავდეევკისა და მარინკის მიმართულებით წარუმატებელი გამოდგა



უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება. რუსეთის 100.000-იანი არმია განაგრძობს შეტევას ლიმანისა და სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით. მიუხედავად მტრის უპირატესობისა, უკრაინელები ინარჩუნებენ პოზიციებს.

ასევე წარუმატებელი გამოდგა რუსების შეტევები ავდეევკისა და მარინკის მიმართულებით. ოკუპანტები აქაც იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. უკრაინელებმა კი წარმატებული ოპერაციები ჩაატარეს ბახმუტისა და უგლედარის მიმართულებით. ოკუპანტების რიგებში დიდი დანაკაგებია.

რაც შეეხება უკრაინის სამხრეთს, აქ კონტრშეტევის ტემპები ოდნავ დაეცა. მიზეზი ოკუპანტების მიერ სტეპების დანაღმვაა. ეს შეტევის ტემპებს აგდებს. მიუხედავად ამისა, უკრაინული არმია მაინც განაგრძობს წინსვლებს მელიტოპოლისა და ბერდიანკის მიმართულებით. ასევე წინსვლა დაფიქსირდა ხერსონის ოლქის ოკუპირებულ ნაწილშიც. შედეგად, ოკუპირებული უკრაინული ტერიტორია შემცირდა. ახლა ის მოლოდ 10 %-ია.

უკრაინელი ექსპერტის, პოლკოვნიკ ჟდანოვის ცნობით, პუტინი უკვე ე.წ. „მშვიდობის პარტიისაკენ“ იხრება. ეს დაჯგუფება მოითხოვს საომარი მოქმედებების შეჩერებას იმ ადგილას, სადაც დღეს ფრონტის ხაზი გადის. პრეზიდენტი ზელენსკი ამის კატეგორიული წინააღმდეგია.

უკრაინელთა 88% რუსეთისათვის ტერიტორიების დათმობის სასტიკი წინააღმდეგია.

უკრაინულმა არმიამ ყირიმის ხიდს დაარტყა. ამის შესახებ განაცხადა უკრაინის გენტაბმა. ეს ცნობა თვით ყირიმის ჰაულაიტერმა აქსიონოვმაც დაადასტურა.

რუსეთის დუმის სპიკერმა ვოლოდინმა უკრაინელი პატრიოტების ამ აქციას, რუსული ჩვეულებისამებრ, ტერორიზმი უწოდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ქალმა ძველ ყუთში ძვირფასი მანტია იპოვა



დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა ქალმა, სახელად სარამ, ძველ ყუთში აღმოაჩინა უიშვიათესი მანტია, რომელიც იქ მრავალი წლის განმავლობაში ინახებოდა და რომლის ღირებულება 200 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

ქალმა მეუღლესთან ერთად მონაწილეობა მიიღო ანტიკვარიატის პროგრამაში. მისი თქმით, მისმა პაპამ აბრეშუმის მანტია დიდ ბრიტანეთში 1930-იანი წლების დასაწყისში ჩამოიტანა. სარას თქმით, ის ბავშვობაში ზოგჯერ იზომავდა მანტიას. შემდეგ კი, როდესაც წამოიზარდა, ის ყუთში ჩადო და რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში აღარც კი მოუკითხავს.

აღნიშნული ნივთი ექსპერტმა ლი იანგმა შეისწავლა და განაცხადა, რომ ის 1750-იან წლებშია დამზადებული და სავარაუდოდ, ჩინეთის დედოფალს ან მის ერთ-ერთ დიდებულს ეკუთვნოდა.

– ცხოვრების ზოგიერთი მომენტი სამუდამოდ გემახსოვრება. და, რა თქმა უნდა, ყოველთვის მემახსოვრება, თუ როგორ ვიდექი აქ და პირველად ვნახე ეს შესანიშნავი მანტია, – ამტკიცებს ექსპერტი.

საგულდაგულო დათვალიერებისას იანგმა სამოსზე დაზიანებები აღმოაჩინა. სპილენძის მავთული, რომლითაც მანტიაზე ურჩხულის გამოსახულება იყო შექმნილი, მოოქროვების გამო დაჟანგული იყო და ფერი ჰქონდა შეცვლილი.

– ეს საბოლოო ჯამში ამ ნივთის ღირებულებაზე იმოქმედებს, – დაასკვნა ექსპერტმა.

იანგის თქმით, სავარაუდოდ, მანტია აუქციონზე 200 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# „შესაძლოა, ყოფილიყო საკმარისი დრო, რათა მომხდარიყო მოსახლეობის გაფრთხილება და ევაკუაცია“

– რა თქმა უნდა, სტიქიას ვერ აიცილებ, მაგრამ შეგიძლია იყო მისთვის მზად. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის წინასწარი მოკვლევა აჩვენებს, რომ შესაძლოა, ყოფილიყო საკმარისი დრო, დაახლოებით ნახევარ საათამდე, რათა მომხდარიყო მოსახლეობის გაფრთხილება და ევაკუაცია. მყარი მტკიცების საფუძველი გვაქვს, რომ ასეთი შედეგი არ იქნებოდა, მსხვერპლს ვგულისხმობ, – აცხადებს გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ აღმასრულებელი დირექტორი, ნინო გუჯარაიძე „მთის ამბებთან“ ინტერვიუში.

„მწვანე ალტერნატივა“ გარემოს ეროვნული სააგენტოსგან 4 თვეა ითხოვს დოკუმენტს, რომელშიც 2022 წლის გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და 2023 წლის პროგნოზია აღწერილი.

სააგენტოს, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტროს ნაწილია, კანონი ავალდებულებს, ეს დოკუმენტი თვითონ გამოაქვეყნოს, რათა ყველამ ვიცოდეთ, სად რა საფრთხეებია. სახელმწიფო მას საგანგებოდ მალავს, შესაბამისად, არ ვიცით, რა წერია საფრთხეების შეფასების ბოლო დოკუმენტში შოვის შესახებ, თუმცა, „მწვანე ალტერნატივას“ შესწავლილი აქვს წინა წლების გეოლოგიური ბიულეტენები – შოვი სტიქიური გეოლოგიური პროცესებით განსაკუთრებით დაძაბულ უბნებს მიეკუთვნება.

გეოლოგიური პროცესების საშიშროების რისკის ზონაშია მოქცეული სოფელი გლოლაც, მდინარე ჭანჭახის მარცხენა შენაკადის, ღლვიორას ხეობაში განვითარებული ღვარცოფული პროცესები საფრთხეს უქმნის ცენტრალურ საავტომობილო გზას და კურორტ შოვის ინფრასტრუქტურულ ობიექტებს.



კურორტ შოვისთვის გეოლოგიური საშიშროების რისკის მაღალი კატეგორია არ მიუნიჭებიათ მხოლოდ 2021 წელს, მდინარე ღლვიორას მიერ შექმნილი პრობლემების გამო. ჯერ კიდევ 2014 წლის გეოლოგიურ ბიულეტენში, სადაც კურორტი შოვი ასევე მაღალი რისკის ზონად არის განსაზღვრული, ღლვიორასთან ერთად საფრთხედ დასახელებულია ჭანჭახის ერთ-ერთი მარჯვენა შენაკადიც.

მდინარე ბუბასთან დაკავშირებულ სტიქიურ მოვლენებს ადასტურებს ონის მუნიციპალიტეტის მერიის გვერდზე, 2017 წლის 7 ივლისს გამოქვეყნებული ვიდეომასალაც.

– პრობლემა არსებობდა სულ მცირე 9 წელია. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ გვაქვს შესწავლილი წინა წლების ბიულეტენები. 9 წელი იყო წინ იმისათვის, რომ მთლიანად მდინარის აუზში დაგეგმილიყო აქტიური მონიტორინგის ღონისძიებები, დანერგილიყო წინასწარი შეტყობინების სისტემები, შექმნილიყო შესაბამისი რეაგირების გეგმები, რადგან ვიცით, რომ კურორტი შოვი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილია და ამ წერტილში ბევრი ადამიანი შეიძლება ერთდროულად აღმოჩნდეს.

განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ მონიტორინგის სისტემა არ იყო გამართული, არ გვქონდა შესაბამისი რეაგირების გეგმა და მოსახლეობისთვის არაფერი იყო წინსწრებით ცნობილი. არა მხოლოდ მოსახლეობისთვის, არამედ შესაბამისი საჯარო უწყებებისთვის, რომელთა ვალდებულებაა, მსგავს საკითხებზე რეაგირება, – აღნიშნავს ნინო გუჯარაიძე.

მისივე თქმით, „მწვანე ალტერნატივა“ ყველა ბერკეტს გამოიყენებს, რომ შოვის ტრაგედიასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყოს.

–საქართველოს კონსტიტუცია ამბობს, რომ სახელმწიფოა პასუხისმგებელი ჩვენი უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფაზე. ამიტომ, არავინ სხვა ამაზე პასუხისმგებელი არ არის, – ამბობს გუჯარაიძე.



## „პრევენციისთვის კარგია ადრეული შეტყობინების სისტემა, იმედია, სამომავლოდ მაინც დაინერგება“

– პრევენციისთვის კარგია ადრეული შეტყობინების სისტემა, იმედია, სამომავლოდ მაინც დაინერგება საქართველოში, – ეს განცხადება გეოგრაფმა ლევან ტიელიძემ „დღის ამბებში“ გააკეთა.

ტიელიძის თქმით, შოვის ტრაგედიის პროგნოზირება შეუძლებელი იყო, თუმცა, მნიშვნელოვანია, ქვეყანას ჰქონდეს ადრეული შეტყობინების სისტემა.

– პროგნოზირება შეუძლებელი იყო. თუმცა, რაც ჩვენ გვაკლია, საფუძვლიანი კვლევების ჩატარება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა, დარაიონება, რისკის შემცველი ზონების გამოყოფა, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მსგავს პროცესებს შეიძლება ველოდოთ.

პრევენციისთვის კარგია ადრეული შეტყობინების სისტემა, იმედია, სამომავლოდ მაინც დაინერგება საქართველოში. დაქანება არის საკმაოდ დიდი, ვერტიკალურ ჭრილში, მაგრამ მე ამის შეფასებისგან თავს შევიკავებ, იმიტომ, რომ არ მაქვს კონკრეტული ინფორმაცია. სამწუხაროდ, არის წყვეტა, 29 ივლისიდან 5 აგვისტომდე, მაღალი ხარისხის სატელიტებში. ეს იყო ძალიან მასშტაბური, კომპლექსური და რთული პროცესი და გარკვეული დრო გვჭირდება, რომ აღვადგინოთ სრული სურათი, – ამბობს ტიელიძე.

## როგორ შეიქმნა კურორტი შოვი



კურორტი საქართველოში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ონის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს მდინარე ჭანჭახის (რიონის მარცხენა შენაკადი) ხეობაში, ოსეთის სამხედრო გზაზე. ზღვის დონიდან 1520 მეტრი, ონიდან 30 კილომეტრი.

კურორტის შექმნის ისტორიას „პოზიტიური სივრცე საქართველო“ ავრცელებს.

– კურორტი შოვი, ამბროლაურის რაიონის სოფელ წკადისში 1876 წელს დაბადებული ექიმის შამშე ლეჟავას წყალობით შეიქმნა. შამშე ლეჟავამ სამედიცინო განათლება 1905-1910 წლებში ვენის უნივერსიტეტში მიიღო. ევროპაში ყოფნისას მან შეისწავლა კურორტები: ალანდი, დავოსი, ვილდუნგენი, ბადენი, კარლსბადი, ვალენზეე, აუსზეე და სხვები.

1913 წლიდან ლეჟავა იწყებს მუშაობას რაჭაში კურორტის დაარსების საკითხზე. 1925 წელს საძირკველი ჩაეყარა პირველი სანატორიუმის მშენებლობას. რამდენიმე წელში აშენდა ელექტროსადგური, კურორტის მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი სახლი, პოლიკლინიკა, მეორე სანატორიუმი. კურორტი 1929 წელს გაიხსნა და თავიდან შამშე ლეჟავას პატივსაცემად „შამშოვი“ დაერქვა.

შამშე ლეჟავა 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა. რეპრესირების შემდეგ კურორტს „შამ“ მოაშორეს და შოვი დარჩა.

1956 წლის განჩინებით შამშე ლეჟავა რეაბილიტირებულია, – წერია ინფორმაციაში.

## კალეიდოსკოპი

### მამაკაცმა დივანი, რომელშიც სოლიდური თანხა ჰქონდა შენახული, გააჩუქა



ავსტრალიის კუინზლენდის შტატის მცხოვრებმა შემთხვევით დივანი, რომელშიც სოლიდურ თანხას ინახავდა, გააჩუქა და ამას მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ მიხვდა.

მიმდინარე წლის დასაწყისში მამაკაცი უფრო პატარა სახლში გადავიდა საცხოვრებლად და თავისი მონაცრისფრო-მოყავისფრო დივნის ნაწილი საქველმოქმედო მაღაზიას ჩააბარა. მან დივნის ხუთი სექციიდან თავისთვის მხოლოდ ორი დაიტოვა.

რამდენიმე კვირის შემდეგ მამაკაცს გაახსენდა, რომ დივნის ბალიშში მთელი თავისი დანაზოგი, 30 ათასი ავსტრალიური დოლარი ჰქონდა შენახული. მას ეგონა, რომ ფული დივნის იმ ნაწილში ჰქონდა დამალული, რომელიც დაიტოვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფული გაჩუქებულ ნაწილში იდო.

როგორც კი საკუთარ შეცდომას მიხვდა, მამაკაცი საქველმოქმედო მაღაზიას დაუკავშირდა. იქ მას უპასუხეს, რომ მისი დივანი ჩაბარებიდან ორ დღეში გაიყიდა. მყიდველმა ის თავადვე წაიღო, ამიტომ მაღაზიაში არ დარჩენიათ ჩანაწერი იმის შესახებ თუ ვინ იყო მყიდველი.

მამაკაცი მომხდარით ძალიან დამწუხრებული დარჩა, თუმცა იქვე თავს იმით ინუგეშებს, რომ შესაძლოა მისი გადანახული ფული ისეთ ადამიანს შეხვდა, რომელსაც ის უფრო მეტად ესაჭიროებოდა.

### დამნაშავე, რომელიც 11 წელი მიმალვაში იმყოფებოდა, ფეხბურთის სიყვარულმა გასცა



საბერძნეთში დააკავეს იტალიელი დამნაშავე, რომელიც 11 წლის განმავლობაში ემალებოდა მართლმსაჯულებას. მამაკაცი ფეხბურთის სიყვარულმა დაალალატა.

მამაკაცი წლების განმავლობაში საბერძნეთის კუნძულ კორფუზე იმალებოდა. სამშობლოში მას 14 წელზე მეტი ვადით ჰქონდა პატიმრობა შეფარდებული.

იტალიელმა გადაწყვიტა, საყვარელი გუნდის გაჩემპიონება ერთ-ერთ ადგილობრივ რესტორანში ეზეიმა. ის დაწესებულებაში გადაღებულ ერთ-ერთ ფოტოსურათზე ამოიცნეს და მალევე დააპატიმრეს.

დაკავებული მამაკაცი ერთ-ერთ მაფიოზურ კლანს განეკუთვნება და დაჯგუფების მართვაზე იყო პასუხისმგებელი. იტალიის სასამართლომ ის გადასახადებისგან თავის არიდებასა და სხვა ფინანსურ დანაშაულებში სცნო დამნაშავედ.

### გოგონამ მოძალადე მაჩეტეთი მოიგერია



ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ ფილადელფიაში გოგონამ მოძალადის თავდასხმა მაჩეტეთი მოიგერია.

მოძალადე 24 წლის გოგონას სასტუმროში თავს კვირას, 30 ივლისს დაესხა. პოლიციის თანამშრომლის თქმით, გოგონამ 43 წლის თავდამსხმელი მამაკაცის მოგერიება მისთვის თავში მაჩეტეს ჩარტყმით მოახერხა.

მამაკაცი დააკავეს და მიღებული ტრავმის გამო საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ დროისთვის ის კვლავაც საავადმყოფოში იმყოფება, მისი მდგომარეობა სტაბილურია. საავადმყოფოში ასევე იქნა გადაყვანილი გოგონაც, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება. სამართალდამცავებმა მომხდარის გამოძიება დაიწყეს.

### კაცმა რესტორანში სადილობის დროს კერძში დიდი მარგალიტი იპოვა



ამერიკის როდ-აილენდის მკვიდრმა წყვილმა რესტორანში სადილობის დროს მათთვის მომზადებულ მოლუსკში მარგალიტი იპოვა და მისით ნიშნობის ბეჭედი დაიმშვენა.

2021 წლის დეკემბერში სენდი სიკორსკი და კენ სტეინკამპი ქალაქ უესტერლიში რესტორანში სადილობდნენ. მათთან ერთად იყვნენ ქალის ძმა და მისი მეუღლე. სადილის დროს სიკორსკი მათთვის მირთმეული მოლუსკებიდან ბოლოს ჭამას შეუდგა, როდესაც პირში რაღაც მკვრივი და მრგვალი საგანი შეიგრძნო.

– გავიფიქრე: „ეშმაკმა დალახვროს, ეს რა ჯანდაბაა?“ ის ნივთი პირიდან გამოვიღე და მაგიდაზე დავდე. ჩემი ძმის მეუღლემ მკითხა: „ეს რა, კბილია?“ – იხსენებს ქალი.

თუმცა საგულდაგულოდ შეთვალიერების შემდეგ სიკორსკის ძმის ცოლმა, რომელიც საიუველირო ნაკეთობებითაა გატაცებული, ივარაუდა, რომ ეს 9,8 მილიმეტრის ზომის მარგალიტი იყო. ადგილობრივი საიუველირო კომპანიის სპეციალისტმა მარკ ფიშბოუნმა ნაპოვნი დაათვალიერა და ქალის ვარაუდი დაადასტურა. მისი თქმით, მარგალიტის ზომის და წონის გათვალისწინებით, მის ფორმირებას შესაძლოა 50 წელი დასჭირვებოდა. სიკორსკიმ და სტეინკამპმა გადაწყვიტეს, რომ თუ ისინი როდესმე დაქორწინდებოდნენ, ამ მარგალიტით ნიშნობის ბეჭედს დაამშვენებდნენ. მათი გეგმა განხორციელდა. 8 ივლისს მამაკაცმა ქალს ხელი სთხოვა. მან შეყვარებულს აჩუქა ბეჭედი, რომელშიც ფიშბოუნმა ნაპოვნი მარგალიტი ჩასვა. წყვილმა ნიშნობა სწორედ იმ რესტორანში იზეიმა, რომელშიც მარგალიტი იპოვეს.

### ქალმა ბინის დალაგების დროს განძს მიაგნო



ჩინეთში 50 წლის სოციალურმა მუშაკმა საკუთარ ბინაში, დალაგების დროს, მისი ადრინდელი მფლობელების მიერ გადამალულ განძს მიაგნო. ცზიან ცზინპინი ახალ ბინაში მიმდინარე წლის 20 ივლისს გადაბარგდა და გადაწყვიტა, მაშინვე საგულდაგულოდ დაელაგებინა.

– როდესაც კარადა გადავწიე და შპალერი ჩამოვხიე, კედლის კუთხეში, პატარა საიდუმლო ხვრელი შევნიშნე. ამ აღმოჩენით გაოგნებული დავრჩი, – ყვება ქალი. მან იქ ჩადგმული სეიფი გახსნა და შიგნით ხუთი დეპოზიტური სერტიფიკატი და საიუველირო სამკაულები აღმოაჩინა. განძის საერთო ღირებულებამ დაახლოვებით 400 ათასი იუანი შეადგინა.

ცზინპინმა აღიარა, რომ არ შეეძლო სხვისი სიმდიდრის მითვისება და ამიტომ გადაწყვიტა მისი მფლობელები მოეძებნა. მალე გაირკვა, რომ ფასიანი ქაღალდები და სამკაულები ბინის ადრინდელ მფლობელებს ეკუთვნოდათ, ხანდაზმულ წყვილს, რომლებიც ცოცხლები აღარ იყვნენ. მათმა შვილებმა ბინა ისე გაყიდეს, რომ ეჭვადაც არ ქონიათ, რომ იქ განძი ინახებოდა. ამ დროისთვის ქალი მათ პოვნას და დაკავშირებას ცდილობს, რომ სეიფში ნაპოვნი ნივთები დაუბრუნოს.

### ცუკერბერგმა მასკს ორთაბრძოლის თარიღი შესთავაზა



კორპორაცია მეტას ხელმძღვანელმა მარკ ცუკერბერგმა განაცხადა, რომ მზადაა ტვიტერის მფლობელ ილონ მასკთან ორთაბრძოლა 26 აგვისტოს გამართოს. ამის შესახებ მან სოციალურ ქსელში დაწერა.

ამგვარად, ცუკერბერგმა უპასუხა ილონ მასკის შეტყობინებას იმის თაობაზე, რომ ის აქტიურად ემზადება მომავალი ორთაბრძოლისთვის. თუმცა, მეტას მფლობელმა იქვე აღნიშნა, სავარაუდოდ, ორთაბრძოლა მის მიერ შეთავაზებულ დღეს არ შედგება.

ივლისში მასკმა მარკ ცუკერბერგი პლაგიატში დაადანაშაულა და მას „გველის წიწილი“ უწოდა. მეწარმემ აღნიშნა, რომ მან 44 მილიარდი დოლარი დახარჯა ტვიტერის დანართზე, ხოლო „გველის წიწილმა“ უბრალოდ მისი კოპირება მოახდინა.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტვიტერის წარმომადგენლები სასამართლო სარჩელს შეიტანენ კორპორაცია მეტას წინააღმდეგ კომერციული საიდუმლოებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევისთვის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# უკრაინელთა კონტრშეტევა გრძელდება



უკრაინული არმია კონტრშეტევას განაგრძობს. ამის თაობაზე განაცხადა თავად უკრაინის სამხედრო დაზვერვის უფროსმა, გენერალმა ბუდანოვმა. პარადოქსია, მაგრამ დღეისათვის ყველაზე კარგი მდგომარეობა ბახმუტთანაა, იქ, სადაც რამდენიმე თვის წინ კრიზისი იყო.

დღეს უკრაინელები ბახმუტის გარეუბნებს აკონტროლებენ, ხოლო თავად ქალაქი ნანგრევებშია. რაც შეეხება ფლანგებს, აქ უკრაინელთა წინსვლა შეუძლებელია.

ალსანიშნავია მდგომარეობა ზაპოროჟიეს ოლქში. მის დასავლეთ ნაწილში უკრაინელებმა წარმატებული ოპერაციები განახორციელეს. შედეგად, რუსული არმიის მოზრდილმა ნაწილებმა უკან დაიხიეს. უკრაინული არმია განაგრძობს წინსვლას მელიტოპოლსა და ბერდიანსკისაკენ. ზარალი, რასაც ოკუპანტები განიცდიან, განუზომელია.

ამავე დროს არ შეიძლება არ დავაფიქსიროთ საგანგაშო ტენდენციები საგარეო პოლიტიკაში. აშშ-ში იზრდება იმათი რიცხვი, ვინც უკრაინისათვის დახმარების შეჩერებას მოითხოვს. სუკის ექსრეზიდენტის იური შვეცის აზრით, ვაშინგტონში 7%-ით გაიზარდა იმ ამერიკელთა რაოდენობა, რომლებიც უკრაინისათვის სამხედრო დახმარების შეწყვეტას მოითხოვენ. ეს უდავოდ საგანგაშო ტენდენციაა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ნათელი ხდება უკრაინის დაზვერვის შეფის, გენერალ ბუდანოვის სიტყვები: კონტრშეტევის არა თუ შეჩერება, შენელებაც კი გამორიცხულია. დღეს აშშ-ის ადმინისტრაციაში პროუკრაინული ძალები დომინირებენ. უკრაინამ ეს უნდა გამოიყენოს და რაც შეიძლება მეტი ტერიტორია გაათავისუფლოს. გარკვეული წარმატებები ამ მხრივ უკვე მიღწეულია. ჩაიშალა ლიკანისა და სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით რუსების კონტრიერიშის ორგანიზების მცდელობა, ხოლო ზაპოროჟიეხერსონის ოლქებში წარმატებით ჩატარებულმა ოპერაციებმა უკრაინელთა პოზიციები გააძლიერა.

უახლოეს ხანებში უკრაინული არმია სწორედ ამას შეეცდება. რაც შეეხება რუსეთს, ის უკრაინელ პატრიოტებს დაუპირისპირებს ნაცად იარაღს – სტეპების დანაღმვასა და დაბომბვას. ასე რომ, ესკალაცია გარდუვალია.

# მოლაპარაკებები საუდის არაბეთში



საუდის არაბეთის დედაქალაქში დასრულდა უკრაინასთან დაკავშირებული პირველი მოლაპარაკებები. სამიტს 40-მდე ქვეყანა დაესწრო. გამონაკლისი რუსეთია. მისი ხილვა სამიტზე არავის სურდა.

სამიტმა მხარი დაუჭირა პრეზიდენტ ზელენსკის ფორმულას: რუსეთმა უნდა გაიყვანოს ჯარი უკრაინიდან და მიყენებული ზარალიც აანაზღაუროს.

შემდეგი სამიტი გაიმართება ამა წლის სექტემბერში ინდოეთში.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## კალეიდოსკოპი



# 11 ქალმა 1 ბილეთით 100 მილიონი მოიგო

ინდოეთის კერალას შტატის ქალაქ პარაპანანგადის სანიტარული სამსახურის თანამშრომლებმა ლატარიის გათამაშებაში ჯეკპოტი მოხსნეს და მიუხედავად საკმაოდ მსხვილი მოგებისა, გადაწყვიტეს, სამსახურს თავი არ დაანებონ.

11-მა ქალმა, რომლებიც არაბიოლოგიური ნარჩენების შეგროვებით არიან დაკავებულები, ლატარიის გათამაშებაში მიიღეს მონაწილეობა და 100 მილიონი რუპია მოიგეს. ჩვეულებრივ მათი გამომუშავება დღეში 250 რუპიას შეადგენს. ეს თანხა მათ ცხოვრებისთვის არ ჰყოფნიდათ, ხშირად სესხულობდნენ ფულს ბავშვების განათლების დასაფინანსებლად და სხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის. მდგომარეობის გამოსწორების იმედით, ისინი დროდადრო ფულს აგროვებდნენ ლატარიის ბილეთების შესაძენად. ივნისში მათ შეიძინეს 250 რუპიად ღირებული ლატარიის ბილეთი. ამისთვის ცხრა ქალმა 25-25 რუპია დადო, ხოლო დანარჩენმა ორმა 12,5-12,5 რუპია.

ყველა გადასახადების გასტუმრების შემდეგ ქალების მოგება 63 მილიონ რუპიას შეადგენს. ისინი, რომლებმაც ნაკლები თანხა დადეს, ერთმანეთში 6,3 რუპიას გაიყოფენ, ხოლო დანარჩენ ცხრას 6,3 მილიონი რუპია შეხვდება თვითოეულს. ყველა მათგანს საკუთარი თანხის განკარგვის საკუთარი გეგმა აქვს, თუმცა, ერთ რამეში ერთიანი გადაწყვეტილება აქვთ მიღებული, სამსახურისთვის თავის დანებებას არ აპირებენ.

# ავტოფარეხში შესული მამაკაცი მშიერ დათვს გადაეყარა



პენსილვანიის შტატში მამაკაცი სახლის გვერდით მდგარ ავტოფარეხში შევიდა და იქ დათვს გადაეყარა.

ჯონ სვარცი ავტოფარეხში წყლის მილის გადასაკეტად შევიდა და თავისთვის მოულოდნელად დააფრთხო დათვი, რომელიც იქ საჭმელს ეძებდა. ცხოველი მამაკაცს თავს დაესხა, კედელს მიანარცხა, თავზე უკბინა და გაიქცა.

მამაკაცი სახლში შევარდა, ხოლო მისმა შეშინებულმა მეუღლემ ექიმები გამოიძახა. სანამ მედიცინის მუშაკები ადგილზე მივიდოდნენ, ქალმა ქმარს თავად აღმოუჩინა პირველადი სამედიცინო დახმარება.

– ეს საშინელება იყო, თუმცა, ნამდვილად გაგვიმართლა, რომ ყველაფერი სწორედ ასე დასრულდა. მას რამდენიმე ჭრილობა აქვს, თუმცა, მორჩება, – განაცხადა ქალმა.

მამაკაცი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც მას ექიმებმა ჭრილობები დაუმუშავეს და ცოფის საწინააღმდეგო აცრა გაუკეთეს. შემთხვევის ადგილზე პოლიციელები მივიდნენ. ბუნების დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა კი დათვის დასაჭერად ხაფანგები დააგეს, ხოლო მის მისატყუებლად ფუნთუშები და შაქრის სიროფი გამოიყენეს. სვარცმა კი აღნიშნა, რომ მიუხედავად მასზე თავდასხმისა, არ სურს, რომ დათვის ლიკვიდაცია განახორციელონ.

# ნიანგმა მამაკაცს ძაღლი შეუჭამა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ სატელიტ-ბიჩში ნიანგი თავს დაესხა თავის პატრონის სახლის ეზოში მოსეირნე მოპსის ჯიშის ძაღლს.

ადგილობრივი მცხოვრების რობერტ პეტინგის თქმით, ძაღლის გარეშე მისი ერთ-ერთი მეზობელი დარჩა. მისი მტკიცებით, ამ რაიონში ეს ნიანგის ძაღლზე თავდასხმის პირველი შემთხვევაა. შტატის თევზაობისა და ველური ბუნების კომისიამ განაცხადა, რომ ძაღლი ნიანგის ყბებში იქნა ნაპოვნი. ძაღლის პატრონის კიდევ ერთი მეზობლის, ერიკ სედეის თქმით, მოპსის პატრონი წყალთან ახლოს ცხოვრობს. შინაურ ცხოველზე თავდასხმა კი მისი ეზოში სასეირნოდ გაშვებიდან დაახლოებით ხუთ წუთში მოხდა.

შტატის ბუნების დაცვის სამსახურმა ადგილობრივი მოსახლეობა გააფრთხილა, რომ ცხოველები ზედამხედველობის გარეშე არ გაუშვან სასეირნოდ და განსაკუთრებით წყლის სიახლოვეს მოარიდონ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატი ნაკლულად განახლდა



განახლდა საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში. ერთია, ნაკლულ ტურს ტრაგიკული ელფერი დასდევდა და სამივე მატჩი შოვში მომხდარი ტრაგედიის გამო წუთიერი დუმილით დაიწყო.

ტურის ერთი მატჩი საბურთალოსა და ტორპედოს შორის გლოვის დღის გამო გადაიდო და დღეს გაიმართება. კიდევ ერთი მატჩი კი, გორის დილასა და თბილისის დინამოს შორის მოგვიანებით ჩატარდება, რადგან გორელები ევროთასებზე ასპარეზობენ.

**დინამო (ბთ)-შუქურა 5:0**

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

1:0 მამუჩაშვილი (38პ), 2:0 ბიძინაშვილი (46), 3:0 კობახიძე (54), 4:0 ვაწაძე (61), 5:0 ხარაბაძე (85)

**დინამო:** კვასხვაძე, ჩაბრაძე, კობახიძე (ქაფიანიძე 65), რეხვიაშვილი, ბაგრატიონი (ხარაბაძე 58), მამუჩაშვილი, ტეიდი (მოსიაშვილი 58), წიტაიშვილი, ზარია (თ.კაპანაძე 65), ბიძინაშვილი (ფლამარიონი 58), ვაწაძე

**შუქურა:** კულუა, კვარაცხელია, ჩაკვეტაძე, ასათიანი, ანანიძე, გოგოლაშვილი (ხაბაზი 65), ჯანელიძე, ბ.ვერულიძე (ოქროპირიძე 69), გაზდელიანი (ჯ.ცეცხლაძე 84), აფხაზავა (ლორთქიფანიძე 65), მუჯირი

ჩემპიონატის ლიდერმა ბათუმის დინამომ პირველი ტაიმი მინიმალური სხვაობით მოიგო, მაგრამ მეორე ნახევარში კიდევ ოთხი გოლი გაიტანა და საბოლოოდ 5:0 სძლია ქობულეთის შუქურას.

საკუთარი გუნდი ვლადიმერ მამუჩაშვილმა პენალტით დააწინაურა. ეს მისი მე-9 გოლია მიმდინარე სეზონში და აქედან 7 პენალტით მიითვალა.

მეორე ნახევარში მამუჩაშვილის პასს მოჰყვა ირაკლი ბიძინაშვილის გოლი; მერე შეტევაში ჩართულმა კაპიტანმა მამუკა კობახიძემ ვარდნაში ცაციით დაარტყა ზუსტად; ყველაზე ლამაზი ალბათ მეოთხე გოლი გამოდგა – კარგი კომბინაცია, გიორგი ზარიას ბოლო პასი და მათე ვაწაძემ მეკარის მოტყუების მერე გაიტანა; ბოლოს კი ლევან ხარაბაძემ ბათუმელთა მაისურით სადებიუტო გოლი მიითვალა – 5:0.

გია გეგუჩაძის გაწვრთნილი გუნდი 7-ქულიანი უპირატესობით ლიდერობს, მაგრამ მეორეადგილოსან საბურთალოს ტურში სათამაშო აქვს.

**გაგრა-სამგურალი 0:0**

**თბილისი. დავით პეტრიაშვილი**

**გაგრა:** ვორობეი, ხოსიტაშვილი, ლ.ნოზაძე, კოზლენკო, მამაცაშვილი (ნემსაძე 65), შონია (ხომუტოვი 83), კაკაშვილი, შუბითიძე (ლომთაძე 65), ბეგლარიშვილი (სულთანიშვილი 65), მარკონდელე (შონგა 83), მუსელიანი

**სამგურალი:** შოვნაძე, ტყაბიძე, პატარკაციშვილი, მაისაშვილი (ქარიმოვი 75), კალანდარიშვილი, ლომინაძე, დარცემელია, ლ.ხორხელი (ჩიხლაძე 65), ნ.ხორხელი (ა.ვერულიძე 67), კაგაიამა (თოფურია 65), ლ.ჩიხრაძე (გომესი 46)

უგოლო ფრე. ეს გაგრასთვის მეხუთე 0:0-ია სეზონში. სამგურალისთვის კი ბოლო ხუთ შეხვედრაში მეოთხე ფრეა.

წყალტუბოელები მესამე ადგილზე არიან, გაგრა კი მეშვიდეზეა. აღვნიშნოთ ისიც, რომ გიორგი ონიანს გაგრას მწვრთნელის რანგში ეროვნულ ლიგაში დებიუტი ჰქონდა, ხოლო ზაქარია ბეგლარიშვილმა, რომელსაც ესტონეთის მოქალაქეობაც აქვს, ხანგრძლივი შესვენების მერე საქართველოს ჩემპიონატში პირველად ითამაშა.

**სამტრედია-თელავი 0:2**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

0:1 ბეგიჩი (45), 0:2 რუხაძე (82პ)

**სამტრედია:** ლომიძე, ი.ახვლედიანი, ბოჭორიშვილი (დვალიშვილი 83), კილასონია, უბილავა, პავიშიჩი (ჩიტაიშვილი 74), ხმალაძე, ინჯგია (დ.კირკიტაძე 69), ხაიბულაევი (ჩარგეიშვილი 83), ნაჭყებია, თ.ახვლედიანი (მიშოვი 74)

**თელავი:** იურჩენკო, რომეო, გუტიერი, მენიხი, პარკინაშვილი (ჯიქია 24), მ.ბაშელეიშვილი (ცნობილაძე 78), ქანთარია, პროტასოვი (მორჩილაძე 46), ბეგიჩი (დეზირე 65), რუხაძე, ჯეფინიო (გოშთელიანი 65)

- გუნდები თანაბარი, 11-11 ქულით ბოლო და ბოლოსწინა ადგილზე იყვნენ. ასე რომ, თელავმა მნიშვნელოვანი, როგორც იტყვიან, ექვსქულიანი თამაში მოიგო.

პირველი ტაიმის ბოლოს თელაველთა ბოსნიელმა ლეგიონერმა ამარ ბეგიჩმა აკრობატულ ნახტომში დაარტყა და ლამაზი გოლი გაიტანა – 0:1. ბეგიჩმა ეროვნულ ლიგაში დებიუტი გოლით აღნიშნა.

მეორე ტაიმში კი ირაკლი რუხაძემ მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. შეგახსენებთ, რუხაძე ადრე სამტრედიაშიც თამაშობდა და გოლი არ აღუნიშნავს.

საბოლოოდ 0:2 და თელავმა საქმე უფრო გამოიკეთა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 20 | 13 | 6 | 1 | 45-21 | 45 |
| 2.საბურთალო | 19 | 11 | 5 | 3 | 41-21 | 38 |
| 3.სამგურალი | 20 | 11 | 5 | 4 | 32-24 | 38 |
| 4.დინამო (თბ) | 19 | 10 | 4 | 5 | 44-28 | 34 |
| 5.დილა | 19 | 9 | 7 | 3 | 31-17 | 34 |
| 6.ტორპედო | 19 | 6 | 6 | 7 | 17-22 | 24 |
| 7.გაგრა | 20 | 4 | 6 | 10 | 20-32 | 18 |
| 8.თელავი | 20 | 3 | 5 | 12 | 14-37 | 14 |
| 9.სამტრედია | 20 | 3 | 2 | 15 | 14-37 | 11 |
| 10.შუქურა | 20 | 3 | 4 | 13 | 27-46 | 7 |

**შენიშვნა:** შუქურას დაკლებული აქვს 6 ქულა

# ისევ ქართული ფინალი – ბექაურმა მასტერსზე მაისურაძე დაამარცხა

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში დასრულდა ძიუდოს მასტერსი, სადაც 15 ქართველი სპორტსმენიდან ექვსი მედალი ავიღეთ. ჯამში საქართველოს დელეგაციამ ოქროს, ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ფინალში ერთმანეთს ლაშა ბექაური და ლუკა მაისურაძე დაეჭიდნენ. დაძაბულ ბრძოლაში ბექაურმა გაფრთხილებების ხარჯზე იმარჯვა და წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში წაგების გამო რევანში აიღო.

ფინალამდე ორივე ძიუდოისტმა სამ-სამი მეტოქე დაამარცხა: ბექაურმა ბრიტანელ ჯამალ პიტრეივს იპონით სძლია; ასევე იპონით აზერბაიჯანელ მურად ფატიევს მოუგო; ხოლო ნახევარფინალში – დავლათ ბობონოვს.

მაისურაძემ კი, მიყოლებით დაამარცხა ყაზახი დიდარ ჰამზა, უზბეკი ჯაჰონდირ მამატრახიმოვი და იტალიელი კრისტიან პარლატი.

73 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში კი ბრინჯაოს ფინალი გვქონდა – ერთმანეთს ლაშა შავდათუაშვილი და გიორგი ტერაშვილი ეჭიდავებოდნენ. აქამდე ორივე ძიუდოისტი განსხვავებული გზებით მივიდა: 20 წლის ტერაშვილმა მეორე წრეში უზბეკ ობიდხონ ნომონოვს აჯობა; შემდეგ გამოცდილი აზერბაიჯანელი ჰიდიატ ჰეიდაროვი დაამარცხა; მეოთხედფინალში რუმინელ პეტრუ პელივანს დამატებით დროში სძლია; ნახევარფინალში კი, ასევე დამატებით დროში ტაჯიკი ბეჰრუზ ხოჯაზოდასი დაამარცხა.

შავდათუაშვილმა უფრო რთული გზა გაიარა: კუბელ მაგდიელ ესტრადასა და გერმანელი იგორ ვანდკეს ძლევის შემდეგ, მეოთხედფინალში უზბეკ მუროდჟონ იულდოშევთან გაფრთხილებებით დამარცხდა და რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც კოსოველ აკილ იგაკოვას იპონით აჯობა და ტერაშვილზე გავიდა.

ბრინჯაო უფრო გამოცდილმა შავდათუაშვილმა მოიგო.

81 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოჭიდავე გრიგალაშვილმა მეორე წრეში ყაზახ აბილაიხან ჟუბანაზარს იპონით მოუგო; შემდეგ არაბეთის გაერთიანებული საემიროების სახელით მოჭიდავე ნუგზარ ტატალაშვილს გაფრთხილებებით აჯობა; ნახევარფინალში, ბრაზილიელ გილერმო შიმიდტთან ჩვენებურმა გაფრთხილებებით, დამატებით დროში წააგო; გრიგალაშვილმა ბრინჯაოსთვის ბრძოლაში იაპონელი კენია კოჰარა დაამარცხა და მედლის გარეშე არ დაბრუნდა.

100 კგ-ში ილია სულამანიძემ მერვედფინალში იაპონელი აარონ ვულფი დაამარცხა, მეოთხედფინალში – ბელგიელი ტომა ნიკიფოროვი. თუმცა, ფინალში გადასასვლელი ბრძოლა ისრაელის წარმომადგენელ პიტერ პალჩიკთან წააგო და მხოლოდ ბრინჯაო ერგო, რადგან მესამე ადგილისთვის ნიდერლანდელ მიხაელ კორელი ტრავმის გამო არ გამოუცხადდა.

მძიმე წონაში ბრინჯაო ერგო გელა ზაალიშვილსაც, რომელმაც მედლისთვის ბრძოლაში იაპონელი კოკორო კაგიურა დაამარცხა. მანამდე ზაალიშვილმა კორეელი მინჯონგ კიმი, უზბეკი ალიშერ იუსუპოვი დაამარცხა, ხოლო მეოთხედფინალში ფინელ მარტი პულანაინენთან დამარცხდა და რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც გურამ თუშიშვილს მოუგო.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ხვიჩა კვარაცხელია: თავს ვერ მივცემ უფლებას ვთქვა, რომ სტეფის დონეზე ვარ

საქართველოს ნაკრებისა და იტალიური ნაპოლის ფეხბურთელის, **ხვიჩა კვარაცხელიას** ინტერვიუ „გაზეტა დელო სპორტში" დაიბეჭდა. საუბარი არა მარტო გასულ სეზონს, არამედ სხვა საინტერესო თემებზე შედგა.

***– პირველივე წელს ყველაფერი მოიგე: სკუდეტო, სერია ა-ს საუკეთესო ფეხბურთელის წოდება. ასევე, შენი გოლი საუკეთესოდ დასახელდა. ამ შედეგს ელოდი?***

– ვფიქრობ, ეს წელი, არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველასთვის დაუჯერებელი იყო. 33 წლის შემდეგ ნაპოლისგან სკუდეტოს მოგებას არავინ ელოდა. თუმცა, ჩვენმა მზადყოფნამ და სურვილმა, შედეგი გამოიღო. ეს არ არის მხოლოდ კონკრეტული პიროვნებების დამსახურება, ეს ყველამ ერთად შევძელით.

***– როდის მიხვდით, რომ სკუდეტო მოიგეთ?***

– იუვენტუსთან მატჩის შემდეგ უკვე ცალსახად ნათელი იყო, რამდენად ახლოს ვიყავით ჩემპიონობასთან. ამის შემდეგ ყოველი თამაში უკვე ზეიმის მიზეზი იყო. ყველა იმის მოლოდინში იყო, რომ ეს გამარჯვება ოფიციალურ სახეს მიიღებდა. საოცარი დღეები იყო, უსასრულო ემოციები განვიცადეთ.

***– ტურინსა და იმ საღამოს რომ დავუბრუნდეთ, იუვენტუსის კარში რასპადორის მიერ გატანილმა გოლმა, ფაქტობრივად, ნაპოლის საჩემპიონო გზა გაუხსნა.***

– ლუჩანო სპალეტიმ გაგვაფრთხილა, თუ რა შეიძლებოდა დაგვხვედროდა ნეაპოლში დაბრუნებისას, მაგრამ ამხელა რამეს ვერც კი წარმოვიდგენდით. მარტო აეროპორტიდან გამოსვლას ერთი საათი მოვანდომეთ. ემოციურად, ცრემლების გარეშე შეუძლებელია ამის განცდა, როდესაც უყურებ ამდენ ადამიანს და ისინი ჩვენს გვარებს სკანდირებენ.



ჩვენ მათ გავუხსენით გზა ოცნების ასრულებასთან. ამ საღამოს ვერცერთი ჩვენგანი ვერ დაივიწყებს. ის ცნობილი ქაღალდის ქუდი სახლში მაქვს, თუ გინდა მოგყიდი (იცინის).

***– იმ ღამეს ნეაპოლმა მთელი თავისი გრძნობები გამოავლინა. მინდოდა მეკითხა, შეძელი, რომ ქალაქი დაგეთვალიერებინა?***

– სამწუხაროდ, ხშირად ვერ გავდივარ ქალაქში. ცოტა რთული იქნება, ხალხის მიერ უზომო სიყვარულის გამოხატვისას ყველაფერმა უსაფრთხოდ ჩაიაროს. რამაც გამაოცა, ახალ ჩამოსულს უკვე ყველანი მცნობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის უცხო ვიყავი.

ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ამხელა სითბო ძალიან მნიშვნელოვანი და ახალ გარემოსთან ადაპტაციისთვის აუცილებელია. მივხვდი, ფეხბურთს როგორი გრძნობითა და სიყვარულით ეკიდებიან. ოჯახთან ერთად პომპეის მონახულება შევძელი. თუმცა, ნეაპოლის ხედები განსაკუთრებით მიყვარს.

ახალჩამოსული ქალაქის სილამაზემ მომხიბლა, ასევე, ულამაზესმა სანახაობამ – მზის ჩასვლამ. ეს ის დეტალებია, რომლებიც უცებ მიგახვედრებს, თუ სად ხარ, როგორ გარემოში აღმოჩნდი... მინდა ასევე აღვნიშნო, რომ „პასტა ალ პომოდორო" ჩემი საყვარელი კერძია.

***– ფეხბურთს დავუბრუნდეთ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სპალეტი შენთვის მამასავით იყო?***

– დიახ. ალბათ, ვერ შევძლებ საკმარისად მადლობის გადახდას იმისთვის, რაც მან გააკეთა. ის ჩემი კარიერის დიდი წარმატების ნაწილი იყო. მომცა შანსი, უმაღლეს დონეზე მეთამაშა.

ყოველთვის ჩემ გვერდით იყო, მაშინაც კი, როცა სირთულეებს ვაწყდებოდი. როცა მაქსიმუმის გამოვლენას ვერ ვახერხებდი, გვერდით მედგა, მამხნევებდა, მიცავდა და მაჩვენებდა გზას, პრობლემა როგორ გადამელახა. როგორი ფეხბურთელიც დღეს ვარ, მისი დამსახურებაა.

***– პრეზიდენტი დე ლაურენტისი?***

– მან ირწმუნა ჩემი, როგორც საფეხბურთო სამყაროსთვის სრულიად უცნობი ახალგაზრდის. ჩემს ტრანსფერში ფინანსური ინვესტიცია ჩადო, რაც რისკი იყო.

***– ახლა ახალი მწვრთნელი გყავთ. რუდი გარსიას რაში შეუძლია, რომ დაგეხმაროს?***

– ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებაში. ამ ეტაპზე მის ტაქტიკურ მონახაზებს ვსწავლობთ და ყოველდღე რაღაც ახალს ვიგებთ. როგორც პიროვნება და როგორც მწვრთნელი ძალიან მომწონს. დარწმუნებული ვარ, ის დაგვეხმარება კიდევ ბევრი წარმატების მიღწევაში.

***– ნაპოლის შეუძლია, გაიმეოროს ეს შედეგი?***

– ვთამაშობთ, რომ ყოველი მატჩი გამარჯვებით დავასრულოთ. შემდეგ უკვე დრო გვაჩვენებს, ამ წარმატების გამეორების რესურსი გვაქვს თუ არა. ყველას დიდ პატივს ვცემთ, ძალიან ბევრი ძლიერი გუნდია და ისინი ძალიან კარგად თამაშობენ. დარწმუნებული ვარ, არც მეტოქეები არიან ჩვენს წინააღმდეგ თამაშით ბედნიერები...

***– ევროპაში ყველაზე წარმატებული საფეხბურთო დუეტი შექმენი ვიქტორ ოსიმენთან ერთად. ეს ბუნებრივად მოხდა?***

– თავიდანვე ვიცოდი, რომ ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, მაგრამ მისმა ადამიანობამ კიდევ უფრო მომხიბლა. მასთან ურთიერთობა ბუნებრივად მარტივია და ეს მოედანზეც ჩანს. სათამაშო ეპიზოდისას რომც ვერ ვხედავდე, უკვე ვიცი, სად არის, ვიცი, როგორ მივაწოდო ბურთი, მის მოძრაობებს ყოველთვის ვგრძნობ. იგივეა მისთვისაც.

***– მეტსახელი „კვარადონა" მოგწონს, თუ უფრო ტვირთია?***

– ლოგიკურია, რომ საამაყოა. ასევე, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ის ფაქტი, რომ ისეთ დიდ ფეხბურთელს გადარებენ, როგორიც იყო მარადონა.

***– ახალი თაობებისთვის მისაბაძი გახდი. 77-ნომრიან მაისურს ბავშვები სიამოვნებით იცვამენ, ისევე, როგორც ეს დიეგოს დროს ხდებოდა. ნეაპოლელებისთვის სამუდამოდ კერპად დარჩები.***

– დაუჯერებელია იმის გაფიქრებაც, რომ 33 წლის შემდეგ ახალი თარბისთვის მისაბაძი მაგალითი სწორედ მე გავხდი. მაგრამ არა მხოლოდ ბავშვებისთვის, ზრდასრული ადამიანებიც უზარმაზარ სიყვარულს გამოხატავენ. ეს მათი ემოციები ასევე დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ისინი ჩვენ მოტივაციასა და ენერგიას გვაძლევენ, რომელსაც შემდეგ მოედანზე გამარჯვებისთვის მძლავრ იარაღად ვიყენებთ. მათ ყოველთვის ვგრძნობთ ჩვენ გვერდით.

***– იტალიაში წარმატებული ქართველი და კალათბურთის კერპი თამაშობს. თორნიკე შენგელიასთან როგორი ურთიერთობა გაქვს?***

– თოკო ძალიან ძლიერი კალათბურთელია, ძალიან დიდ პატივს ვცემ, შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს. უდინეშიც იყო მოსული იმ დღეს, როცა სკუდეტო მოვიგეთ. შემდეგ ბოლონიაშიც დაესწრო მატჩს. ამ ქალაქში თავადაც თამაშობს. თამაშის შემდეგ შევხვდით და მაისურები გავცვალეთ.

***– მითებზე ვსაუბრობთ და ისურვებდით, რომ საფეხბურთო სამყაროს სტეფ კარი გამხდარიყავით?***

– თავს ვერ მივცემ უფლებას, ვთქვა, რომ სტეფის დონეზე ვარ. თუმცა, შემიძლია გარანტირებულად გითხრათ, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რათა ფეხბურთის ისტორიაში ჩემი კვალი დავტოვო.

***– გაუმჯობესებაზე ვლაპარაკობთ და რამდენად მძიმე სატარებელი ტვირთია ჩემპიონთა ლიგის მატჩი მილანთან და ვერგატანილი პენალტი? ამ გოლს შეეძლო, ნაპოლის ევროპული ისტორია შეეცვალა.***

– არ მაქვს პასუხი, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ერთია, შეცდომებზე ვსწავლობ და ვცდილობ, უკეთესად ვითამაშო. ამ ეპიზოდისგანაც ბევრი რამ ვისწავლე. ჩემპიონთა ლიგაში მეტსაც ვიმსახურებდით. ახლა გვაქვს შანსი, კვლავ ვცადოთ და უკეთეს შედეგს ახალ საფეხბურთო სეზონში მივაღწიოთ.

***– ნაპოლის ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ, რაფაელ ლეაომ ინსტაგრამზე პოსტი მოგიძღვნა.***

– ძალიან მომწონს მისი უშუალო ხასიათი. მოედანზეც და მის მიღმაც ჩემპიონია. ძალიან დიდ პატივს ვცემ. სასიამოვნო იყო მისი საქციელი. მაისურები გავცვალეთ. მე მას ცხოვრებაში ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ, რადგან ამას იმსახურებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## სამგლოვიარო განცხადებები



### გურამ ბოკუჩავა

გარდაიცვალა საინჟინრო ფიზიკისა და ტექნოლოგიების მეცნიერების ცნობილი ორგანიზატორი – სსიპ სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიური დოქტორი – **გურამ ბოკუჩავა.**

გურამ ბოკუჩავას ხანგრძლივი სამეცნიერო და ორგანიზატორული მოღვაწეობა 1972 წლიდან, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, დაკავშირებული იყო სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტთან, სადაც ეტაპობრივად განვლო ყველა საფეხური (გამოთვლითი ტექნიკის ლაბორატორიის ინჟინერი, უფროსი ინჟინერი, ჯგუფის ხელმძღვანელი, გამოთვლითი ცენტრის ხელმძღვანელი). 1991 წელს ის დაინიშნა შპს „მიზანი"-ს დირექტორად, რომელიც ინსტიტუტში კურირებდა კოსმოსური რადიოელექტრონული ხელსაწყოთმშენებლობის და მართვის სისტემების მიმართულებას. ჩვენი ქვეყნის ავბედობის ჟამს მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით ინსტიტუტში დაიწყო სამხედრო დანიშნულების რადიოელექტრონული, დისტანციური მართვის სისტემების წარმოება ქართული ჯარისათვის. 2002-2005 წლებში იყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, 2005 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ინსტიტუტის დირექტორი.

გურამ ბოკუჩავას ხელმძღვანელობითა და აქტიური მოღვაწეობით ინსტიტუტში განხორციელდა ღრმა ცვლილებები თანამედროვე მოთხოვნებით განპირობებული ტრადიციული სამეცნიერო-ტექნოლოგიური და სრულიად ახალი დარგების აღორძინებისა და შექმნის მიმართულებით. ჩამოყალიბდა ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი თავდაცვის პრობლემებზე ორიენტირებული რადიოფიზიკური და ელექტრონული სისტემების მოდელირებისა და სისტემატექნიკის განყოფილება (კვანტური რადიოფიზიკა, ლაზერული, ელექტრული და ელექტრონული სისტემები) ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორია, ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორია და სხვა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში პირველად მის მიერ შეიქმნა თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით აღჭურვილი რადიაციული კვლევებისა და კომპოზიციური მასალების სინთეზის ფუნქციური უბნები.

აღსანიშნავია მისი დიდი ძალისხმევა სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ახალი აქტუალური პროექტების მოზიდვაში. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ინსტიტუტში განხორციელდა 40-ზე მეტი პროექტი, მათ შორის 10-ზე მეტი მისი უშუალო ხელმძღვანელობით, რითაც მან დამსახურებულად მოიპოვა მაღალი დონის საერთაშორისო აღიარება.

100-მდე სამეცნიერო ნაშრომი და 70-მდე საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ფორუმში მონაწილეობა ნათლად ასახავს გურამ ბოკუჩავას მნიშვნელოვან წვლილს საქართველოში თანამედროვე ეტაპზე ნახევარგამტარული მიკრო და ოპტოელექტრონული ხელსაწყო-მოწყობილობების შექმნის ტექნოლოგიების ოპტიმიზაციასა და განვითარებაში, ახალი მეცნიერული შედეგების მიღწევასა და პრაქტიკულ რეალიზებაში.

აღსანიშნავია მისი დიდი წვლილი თერმოელექტრული სილიციუმ-გერმანიუმის სისტემის შენადნობების რადიაციული მედეგობის, მოცულობითი სილიციუმ-გერმანიუმის კრისტალების ტექნოლოგიური ბაზის შექმნასა და კომპლექსური კვლევების განხორციელებაში.

გურამ ბოკუჩავამ თავდადებული შრომითა და მოყვასის გულისხმიერი თანადგომით დაიმსახურა ინსტიტუტის კოლექტივის, კოლეგებისა და მეგობრების ღრმა პატივისცემა და სიყვარული.

ბატონ გურამ ბოკუჩავას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და თანამშრომელთა მეხსიერებაში.

**სამოქალაქო პანაშვიდი:** 7-9 აგვისტო, 2023 წ. მარიჯანის ქ. №4 (სად. I, სართ. VIII);

**დაკრძალვა:** 10 აგვისტო, 2023 წ., 14:00, კოზმა და დამიანეს სახელობის ეკლესიიდან (ასათიანის №10).

**სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა სახელით ინსტიტუტის დირექცია**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. გემის მზარეული; 2. სახოტბო ლექსი; 3. გარკვეული წესით შედგენილი სამუზეუმო ექსპონატების სია, ჩამონათვალი; 4. ყველაზე დიდი მდინარე იტალიაში; 5. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 6. საკარმიდამო მამული საფრანგეთში; 7. მარგალიტის ყელსაბამის ქართული სახელწოდება; 10. ტელეფონის გამომგონებელი შოტლანდიელი მეცნიერი; 11. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში; 12. მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რაიმე უთანხმოების, კონფლიქტის გარჩევისას; 13. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 16. არწივის ბარტყი; 18. მოხარშული კვერცხის გულიანი ხაჭაპური; 19. საოჯახო ნივთების შესანახი სახურავიანი ხის ყუთი; 21. ბალჩეული ხილი; 24. ლათინოამერიკული სამეჯლისო ცეკვა.

**თარაზულად:** 1. აეროპორტი მონტევიდეოში; 3. მაღალზურგიანი დივანი; 8. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 9. ბრიტანული ტაქსი; 14. მცენარეთა სამყარო; 15. სამხედრო-საზღვაო პოლიგონი საქართველოში; 17. ფრანგული ავტომობილი; 20. შეიარაღებული მცველი, დარაჯი; 22. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 23. პატარა სასეირნო გემი; 25. არომატული მატონიზებელი, უალკოჰოლო სასმელი; 26. ისტორიული სამთავრო მესხეთში; 27. ერთ-ერთი კონტინენტი; 28. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ავტომრბოლელთა გუნდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰამერი; 2. გეტა; 3. არბიტრაჟი; 4. ენდრო; 5. სისტოლა; 8. მარუხი; 9. ბალახვანი; 12. სედანი; 14. თაბახი; 16. იჯარა.

**თარაზულად:** 1. ჰემინგუეი; 6. კრიჟანგი; 7. მიამიტი; 9. ბრაილი; 10. კომო; 11. სუფრული; 13. თეთრა; 15. ლენინი; 17. ქიდაობა; 18. მადონა; 19. აპოხტი; 20. სანიოლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვიში; 2. ონი; 3. ხოზაფინო; 4. სი; 5. კომერცია; 6. სუვა; 7. სირტაკი; 10. ბუტი; 11. კორონაცია; 12. საფიჩხია; 13. სონი; 16. ალუპკა; 18. ფოლორცი; 19. ალონსო; 21. სანტე; 24. რუპია.

**თარაზულად:** 1. ვეროკიო; 3. ხერესი; 8. ფორუმი; 9. შობა; 14. სტეკა; 15. პოკერი; 17. ფიცი; 20. ნუნისი; 22. ილორი; 23. ლაჩარი; 25. ბზა; 26. პერო; 27. კოდა; 28. პედიატრია.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

8 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6106

ევრო — 2.8644

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3215

100 რუსული რუბლი — 2.7118

ამინდის პროგნოზი 8 აგვისტოსათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## კვარაცხელიას მცირე ტრავმა აქვს



საქართველოს ნაკრებისა და ნაპოლის შემტევს ხვიჩა კვარაცხელიას ტრავმა აწუხებს და ამის გამო მან ნაპოლის ამხანაგური მატჩი გამოტოვა, რომელიც გუნდმა აუგსბურგთან ჩაატარა.

ნაპოლიმ შეხვედრა მოიგო. ხვიჩას გარდა, ნაპოლის ვიქტორ ოსიმენიც აკლდა, რომელსაც ასევე ტრავმა აქვს. ჯერჯერობით, უცნობია, თუ როდის დაბრუნდება ხვიჩა მინდორზე, თუმცა, სეზონის დაწყებისთვის ის დიდი ალბათობით სათამაშოდ მზად იქნება.

## ლუკა ლოჩოშვილი რაიო ვალეკანოში არ გადავა



ფროზინონეს ქართველი მცველი ლუკა ლოჩოშვილი რაიო ვალეკანოში არ გადავა, რადგან გუნდები ერთმანეთს შორის ვერ შეთანხმდნენ და რაიო ვალეკანო ლოჩოშვილის ყიდვით დაინტერესებული აღარ არის.

სავარაუდოდ, ლოჩოშვილი ფროზინონეში დარჩება და შემდეგ სეზონს სერია ბ-ში ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ფროზინონე სერია ა-ს დაემშვიდობა და გუნდი ბოლო ადგილზე გადავა.

## სალაჰი ლივერპულიდან წასვლას არ აპირებს



ლივერპულის ვარსკვლავი მოჰამედ სალაჰი გუნდიდან წასვლას არ აპირებს და მან ამის შესახებ განცხადებაც გააკეთა. სალაჰის თქმით, ის ლივერპულში ბედნიერია და აპირებს, რომ მინიმუმ რამდენიმე წელი გუნდში გაატაროს:

– ლივერპულში უამრავი კარგი სეზონი გავატარე და შარშანდელი სეზონი უბრალოდ გამონაკლისია. წელს ლივერპული ისევ ძველ სახეს დაიბრუნებს და ჩვენს გულშემატკივარს გავახარებთ.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ნიკოლოზ რაჭველი: „მახრჩობს სიბრაზის შეგრძნება"



ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი ნიკოლოზ რაჭველი მშობლიურ რაჭაში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება:

– მე ვერასდროს ვერავის ვაპატიებ, სტიქიის პირველ ღამეს უმოქმედობას და გარიჟრაჟის ლოდინს.

არანაირი ძალა და ძალაუფლება არ გამაჩნია, პასუხი ვაგებინო ამაში დამნაშავე პირებს, მაგრამ იმის უფლებას ვიტოვებ, შეურიგებელი დავრჩე გადაწყვეტილების მიმღები ყველა ჩინოსნის მიმართ, ვინც რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საათი დააკარგვინა მეწყერის მსხვერპლებს მათი სიცოცხლის გადასარჩენად!

არაპროფესიონალიზმის, დილეტანტური და პროვინციალური მიდგომის, გაუაზრებლობის, უსაფუძვლო ამბიციურობისა და ჩამორჩენილი მენტალიტეტის გამო გვაქვს ეს ტრაგიკული რეალობა, რომელიც დაატყდა ჩემს რაჭასა და მის მკვიდრებს თუ მასპინძლებს!

ამასთანავე, მახრჩობს სიბრაზის შეგრძნება ყველა იმ ადამიანის საბურველში გამოწყობილი გარეული ცხოველის მიმართ, ვინც სოციალურ ქსელებში გარდაცვლილებს პოლიტიკურ გემოვნებასა და სოციალურ აქტიურობას უხსენებს, როგორი კომენტარებიც არა ერთი შემომხვდა უკვე.

## გიორგი სუხიტაშვილი: „რაც დრო გადის, ადამიანურობა სირცხვილად ითვლება"



გიორგი სუხიტაშვილი სოციალურ ქსელში წერს:

– რაც დრო გადის, ადამიანურობა სირცხვილად ითვლება.

ბრაზი, სევდა, სიხარული, ბედნიერება და თანაგრძნობა – ეს ყველაფერი როდესაც გვეძალება, აქეთ-იქით ვიხედებით და ვფიქრობთ, როგორ გამოჩნდება, ხომ არ დაგვცინებენ, ხომ არ გაგვკიცხავენ, ხომ არ გვაგინებენ.

ადამიანმა დაკარგა დამოუკიდებლად ცხოვრებისა და ფიქრის უნარი.

ამაში მხოლოდ ჩვენ ვართ დამნაშავე, რადგან ჩვენს შიგნით მოვუმზადეთ ნოყიერი ნიადაგი იმას, რაც ერთმანეთის ხორცს გვაჭმევს, მერე ამას ყველას ვაბრალებთ, საკუთარი თავის გარდა.

ადამიანი ადამიანობას უცხო სხეულივით დევნის საკუთარი თავიდან და რაც რჩება მისგან, არის მოწყობილობა, რომელიც ყველაფერს ანადგურებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– გადასახადების გადახდას თავს მართლა ისე არიდებდით, როგორც ეს პროკურორმა განაცხადა?

– არა, მაგრამ მისი სქემა ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ცოლი დიდხანს ჩამჩიჩინებდა, რომ სიდედრისთვის დედა დამეძახებინა.

– მერე?

– მერე, როგორც იქნა, დამიყოლია და ახლა მე და ჩემს ცოლს ცალ-ცალკე ოთახში გვძინავს.

– კი მაგრამ, რატომ?

– აბა, საკუთარ დასთან ხომ არ დავწვები?!

•••

ბიჭი გოგოს ურეკავს და ეუბნება:

– სასწრაფოდ მოდი ჩემთან!

– რა მოხდა?

– უბრალოდ, მაინტერესებს და დრო დავინიშნე.

•••

ბიჭი შეყვარებულის მშობლებთან არის სტუმრად. სუფრა გაშლილია. გოგოს მამა ბიჭს ეუბნება:

– რას დალევთ?

– არა, არაფერს, არ ვსვამ.

– ჰოო... ჩემს გოგოსთან მხიარული ცხოვრება არ გექნებათ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ხრიდოლის აკადემია ქართული ბრძოლის ამბავს შვედეთში წარმოადგენს

ჰოროლი – ქართული ბრძოლის ამბავი – ასე ჰქვია პროექტს, რომელსაც ხრიდოლის აკადემია საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობებისა და თამაშების ასოციაციასთან ერთად შვედეთში წარმოადგენს.



9-13 აგვისტოს შვედეთში, კუნძულ გოთლენდზე, შუა საუკუნეების ეპოქის კვირეული წელს მე-40 გაიმართება და მონაწილეებს მთელი მსოფლიოდან უმასპინძლებს.

საქართველო წარადგენს პროექტს „ჰოროლი – ქართული ბრძოლის ამბავი", რომელსაც მუსიკალურ თანხლებას ჯგუფი „ურსა" გაუწევს.

## „ბლექ სი არენაზე" კონცერტები გაუქმებულია




„ბლექ სი არენას" საკონცერტო დარბაზში უახლოეს დღეებში დაგეგმილი კონცერტები გაუქმებულია:

– შოვში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო, მთავრობის ადმინისტრაციასთან გამართული კონსულტაციების შედეგად, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ „ბლექ სი არენაზე" დაგეგმილი ნაილ როჯერსისა და ჩიკის, ასევე ეფ ქეი ჯეის კონცერტები გავაუქმოთ.

ვუსამძიმრებთ ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ოჯახის წევრი დაკარგა და ვლოცულობთ მათთვის, ვინც ამ მძიმე წუთებში ახლობელს ეძებს. გვსურს, ჩვენი ფიქრები და ძალები მივმართოთ სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად და უკეთესი ამბების იმედით, დაველოდოთ ერთმანეთთან შეხვედრას შემდეგ ღონისძიებებზე, – ნათქვამია „ბლექ სი არენას" მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შოვის ტრაგედიასთან დაკავშირებით, ფრანგმა მუსიკოსმა ეფ ქეი ჯეიმ ინტერნეტში დაწერა:

– სხვა დროს შევხვდებით, საქართველო. მოუთმენლად ველოდი ჩამოსვლას. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ფიქრები დაღუპულებთან და მათ ოჯახებთანაა.

## თათია კობალაძე ამერიკული კონკურსის ტოპ-15-ში მოხვდა



ქართველი მომღერალი თათია კობალაძე ამერიკულ კონკურსში მონაწილეობს. ის ხმათა უმრავლესობით ჯერ ტოპ-20 კონკურსანტს შორის დასახელდა, ახლა კი რჩეულ 15 კონკურსანტს შორისაა:

– არ ვიცი,??მთელი დილააა ვფიქრობ, გითხრათ თუ არა ეს კარგი ამბავი, იმ ყველაფრის ფონზე, რაც ქვეყანაში ხდება! მაგრამ გადავწყვიტე, გაგიზიაროთ კონკურსის შედეგები, რადგან ბევრი მწერთ, თუ რა ხდება! გადავედი ტოპ-15-ში! გრძელდება ბრძოლა ტოპ-10-ში მოსახვედრად! ისევ პირველ ადგილზე ვარ და ეს ყველაფერი მხოლოდ თქვენი დამსახურებაა! ოღონდ მართლა, მარტო თქვენ შეძელით, რომ მე აქამდე მოვედი და ვინარჩუნებ ისევ პირველ ადგილს! ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ყველა მუსიკოსმა პირი შეკრა, რომ ოღონდ მე არ გავიმარჯვო, აი, ყველაფერზე მზად არიან!??მუსიკოსებს იმიტომ ვახსენებ, რომ მეგობრებში მყავს ძალიან ბევრი, ვითომ ძალიან რომ უნდათ მოვიგო და ამ დროს საქციელი სრულიად სხვა რამეზე მეტყველებს! იგივეს ვიტყოდი ჟურნალისტების 99%-ზე! არიან ჟურნალისტები, რომლებიც ობიექტურად წერენ ან აშუქებენ ამბებს და მე თქვენ მიყვარხართ!

თქვენ, ჩვეულებრივი მოქალაქეების, ადამიანების, რომლებსაც უბრალოდ მოგწონთ ჩემი შემოქმედება, აი, მხოლოდ თქვენი დამსახურებაა ნამდვილად ეს ყველაფერი! მიყვარხართ! მადლობა, მადლობა და მადლობა.

პ.ს. ჩემი გამარჯვება ამ და სხვა დანარჩენ კონკურსებშიც იქნება პირდაპირი მაჩვენებელი იმის, თუ როგორ არ უნდა დანებდე მაშინაც კი, თუ მთელი სამყარო გებრძვის! ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. მიყვარხართ.

## ლევან სონღულაშვილი: „ინტელექტუალურსა თუ ბუნებრივ რესურსებს ვკარგავთ"



მსოფლიოში აღიარებული ქართველი მხატვარი ლევან სონღულაშვილი საქართველოში ინტელექტუალურსა თუ ბუნებრივი რესურსების დაკარგვით შეწუხებულია:

– მაქსიმალურად ვცდილობ, ჩემს საქმეზე ვკონცენტრირდე, მაგრამ შეუძლებელია, მთელი ყურადღება საქართველოსკენ არ იყოს მომართული, როცა ცალსახაა, რომ ქვეყანა იღუპება, ვერ ვითარდება, ინტელექტუალურსა თუ ბუნებრივ რესურსებს ვკარგავთ. ეროვნული ტრაგედიის დროს მეზობლები დახმარების ხელს გვიწვდიან, რაზეც უარს ვამბობთ, მთელი მსოფლიო გვითანაგრძნობს, რუსეთის გარდა, რომლის მოსახლეობაც ყოველდღიურად შემოედინება მათ მიერ ოკუპირებულ საქართველოში. თუმცა, ვინ უნდა გვითანაგრძნოს, რომელთა სახელსაც მიეწერება ქვეყნის უმეტესი ტრაგედია. გარდაცვლილთაგან მომავალი თაობაა, გმირები და ისინი, ვინც დასავლურ განათლებას იღებდნენ, რომელთაც არ სურდათ ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, რომელიც უკუსვლით მიდის, წარსული შეცდომებით სპეკულირებს, პროგრესი არ გააჩნია, რომლის მოსახლეობაც ერთ წვენში იხარშება. კვლავ უვიცობამ, დაუდევრობამ, არაპროფესიონალიზმმა და მეორეხარისხოვან საკითხებზე ყურადღების გადატანამ შეიწირა ეს ხალხი, ქვეყანა. კრიტიკულ სიტუაციაში წუთიც გადამწყვეტია, არ მასვენებს აზრი, რომ გათენებამდე შესაძლებელი იყო რომელიმეს გადარჩენა.

ვიცი, რას ნიშნავს საყვარელი ადამიანის დაკარგვა, თავდაპირველი აგონია და შემდგომი ჯოჯოხეთი, მაგრამ ვერ წარმოვიდგენ რას განიცდიან გარდაცვლილთა მშობლები. მათი ხსოვნისთვის მაინც უნდა გავიაზროთ, რომ მუდმივი არაფერია, ხალხი კი არ მსახურობს ხელისუფლებას, არამედ პირიქით... ცვლილების გარეშე, უტოპიური სამყაროც კი დისტოპიად იქცევა, რაც ყველა მთავრობას დაემართა.

## ნინი შერმადინს საქველმოქმედო საღამოს გამართვა სურს



მომღერალ ნინი შერმადინს რაჭველების დახმარება სურს და საქველმოქმედო საღამოს ჩასატარებლად მზადყოფნას გამოთქვამს:

– თუ რამით შემიძლია, რომ ჩემს საყვარელ რაჭასა და რაჭველებს დავეხმარო ამ დიდი ტრაგედიის დროს, მზად ვართ მეც და ჩემი კოლეგებიც სადმე საქველმოქმედო საღამო გავმართოთ და შემოსული თანხა მთლიანად გადავრიცხოთ დაზარალებულებისთვის. გთხოვთ მიმსახუროთ ბოლომდე.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ვაჭართა ინტერესების დამცველი ორგანიზაცია დასავლეთ ევროპაში ძველად; 2. ოპერა „ფაუსტის" კომპოზიტორი; 3. ელჩის გაწვევა სახელმწიფოდან; 4. რადიოაქტივობის საზომი ერთეული; 5. ოქრომჭედლის ყალიბი; 8. შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 9. ხალხის მასების ნდობის მოპოვების მცდელობა ცრუ დაპირებებით; 12. სატრფიალო ხასიათის აზერბაიჯანული სიმღერა; 14. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო.

**თარაზულად:** 1. ძალზე ხელმომჭირნე ძუნწი ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 6. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 9. ღვინის წარმოებისა და ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი საფრანგეთში; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 11. საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი; 13. შვეიცარიის დედაქალაქი; 15. მოხეტიალე ცირკი; 17. მხარე ბელგიაში; 18. ქართული მინერალური წყალი; 19. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 20. სახელგანთქმული ექიმის ძველებური სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

